პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი პარასკევი 27 აპრილი № 99 (17444) ფასი 2 კაპ.

სახალხო განათლების მუშაკებო! აამაღლეთ სწავლების ეფექტიანობა და ხარისხი! აღზარდეთ მოზარდი თაობა კომუნიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სწავლისა და შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

ახალგაზრდობის პატრიოტული მოძრაობა

სტუდენტთა რაზმების სრულიად საკავშირო შეკრების მონაწილეებს

ძვირფასო მეგობრებო!

გულითადად მოგესალმებით თქვენ, სტუდენტთა რაზმების აქტიურ მონაწილეებს!

თქვენი შეკრება მიმდინარეობს უაზახეთში, სადაც მეოთხედი საუკუნის წინათ დაიწყო უამირი და ნასვენი მიწების ათვისება. ღრმად სიმბოლურია, რომ უამირის ეპოპეის გმირულ წლებში ჩაისახა და განმტკიცდა სტუდენტთა რაზმები, რომლებმაც დასაბამი მისცეს სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის მასობრივ პატრიოტულ მოძრაობას.

სტუდენტები და მოსწავლეები, რომლებიც მუშაობენ რაზმებად, მუშებთან და კოლმეურნეებთან ერთიან მწყობრში, იძენენ კოლექტიური შრომისა და შემოქმედების გამოცდილებას, პრაქტიკულად განიმტკიცებენ მიღებულ ცოდნას, გამოიმუშავებენ აქტიურ, ცხოვრებისეულ პოზიციას. ყოველწლიურად ახლდება რაზმების შემადგენლობა, მაგრამ უცვლელი რჩება თავდადებული შრომის ტრადიციები, რომანტიკისა და უანგარობის, მეგობრობისა და ამხანაგობის სულისკვეთება.

იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი წრთობის შესანიშნავი სკოლა გაიარა რაზმებში 6 მილიონზე მეტმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დიდად აფასებენ ლენინური კომკავშირის, სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის წვლილს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ საერთო-სახალხო ბრძოლაში. სტუდენტური მილიარდი, რომელსაც ყოველწლიურად ითვისებენ დამკვრელური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე, — დამაჯერებლად მოწმობს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა რეალური ძალა გახდა მეათე ხუთწლედის დავალებათა განხორციელებაში. რაზმების საქმიანობის სფერო დღეს ნიადაგ ფართოვდება. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ აღმავლობაში, ტრანსპორტის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებაში. მდიდრდება სტუდენტთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკა. სტუდენტთა რაზმების მუშაობა, რომელიც სპეციალისტთა აღზრდის ერთიანი პროცესის ნაწილია, აქტიურად უწყობს ხელს წარმოების გამოცდილი და უნარიანი ორგანიზატორების მომზადებას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ თითოეულმა სტუდენტმა სწავლის პერიოდში გაიაროს შრომითი სემესტრის სკოლა, შეიძინოს ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის ჩვევები.

თქვენ დიდი და პასუხსაგები საქმეები მოგელით. და თქვენ, მომავალი ინჟინრები, აგრონომები, პედაგოგები, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები, ბეჯითად და შემოქმედებითად უნდა დაეუფლოთ კომუნიზმისათვის ბრძოლის ქმედითს იარაღს — მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, უნდა გამოიმუშავოთ შრომისმოყვარეობა, ფხიანობა, ახლისადმი, მოწინავისადმი სწრაფვა.

გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო, ახალ წარმატებებს სწავლასა და დამკვრელურ შრომაში. მუდამ ერთგული იყავით ლენინის საქმის, პარტიისა და ხალხის საქმისა, ღირსეულად ატარეთ დიდებით მოსილი დიდი ოქტომბრის დროშა!

ლ. ბრეჟნევი.

ჩავუნერგოთ მშრომელებს კომუნისტური მრწამსი

სრულიად საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

ბაქო, (საკადესი). გუშინწინ აზერბაიჯანის დედაქალაქში მუშაობა დაიწყო სრულიად საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ „აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბება: ზნეობრივი აღზრდის გამოცდილება და აქტუალური პრობლემები“.

კონფერენცია გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ ე. მ. ტიაჟელნიკოვმა.

კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა ბ. ა. ალიევმა.

პლენარულ სხდომაზე მოხსენებები გააკეთეს: სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. ნ. მაკეევმა — „კომუნისტური იდეურობა საბჭოთა ადამიანების აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის საფუძველია“, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ტ. კუზმინმა — „მშრომელთა ზნეობრივი აღზრდის სისტემის შესახებ“, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. ი. ბარაბაშმა — „ლიტერატურისა და ხელოვნების როლი საბჭოთა ადამიანის მსოფლმხედველობის, მისი ზნეობრივი მრწამსის, სულიერი კულტურის ჩამოყალიბებაში“, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარემ გ. ი. მარჩუკმა — „მეცნიერება და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბება,“ ჟურნალ „კომუნისტის“ მთავარმა რედაქტორმა რ. ი. კოსოლაპოვმა — „აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბებაში ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა ეფექტიანობის ამაღლების გზები “, მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის დირექტორმა დ. პ. გალკინმა — „სამეურნეო საქმიანობის ზნეობრივი ასპექტები“.

კონფერენციის მონაწილეთა თორმეტი სექციის სხდომებზე შეიმუშავებენ რეკომენდაციებს მშრომელთა ზნეობრივი აღზრდის სისტემის შემდგომი გაღრმავებისა და განვითარების შესახებ.

საკავშირო გაზეთების ინფორმაციიდან

მიფრინავს „რადუგა“

კავშირგაბმულობის სისტემებისა და დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გამოყენებით ტელევიზიურ გადაცემათა შემდგომი განვითარების პროგრამის შესაბამისად, 1979 წლის 25 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს კავშირის მორიგი თანამგზავრი „რადუგა“, რომლის საბორტო სარეტრანსლაციო აპარატურა ტალღების სანტიმეტრიანი დიაპაზონით უზრუნველყოფს განუწყვეტელ სადღეღამისო სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირს და ამავე დროს ცენტრალური ტელევიზიის ფერადი და შავ-თეთრი პროგრამების გადაცემას „ორბიტის“ სადგურების ქსელით.

თანამგზავრი „რადუგა“ გაყვანილია სტაციონარულთან მიახლოებულ წრიულ ორბიტაზე, რომლის საწყისი პარამეტრებია:

— მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 36.000 კილომეტრი;

— დედამიწის გარშემოვლის პერიოდი — 24 საათი და 2 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 0,4 გრადუსი.

კავშირგაბმულობისა და ტელევიზიის გაუმჯობესებული მრავალარხიანი სარეტრანსლაციო აპარატურის გარდა თანამგზავრზე არის: დედამიწის მიმართ ზუსტი ორიენტაციის სამეერთა სისტემა, ენერგომომარაგების სისტემა, რომლის მზის ბატარეებიც დამოუკიდებლად ემიზნება და მიჰყვება მზეს, ორბიტაზე კორექციის სისტემა, თერმორეგულირების სისტემა, რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს საბორტო სისტემათა მუშაობის მონაცემებს, აგრეთვე ორბიტის პარამეტრების ზუსტი გაზომვისა და თანამგზავრის მართვისათვის განკუთვნილი რადიოსისტემა. თანამგზავრ „რადუგაზე“ დადგმული აპარატურა ხორმალურად მუშაობს. საკომანდო-საზომი კომპლექსი აზორკიელებს თანამგზავრის მართვას.

საკავშირო გაზეთების ინფორმაციიდან

სტატისტიკა გვიამბობს

„სსრ კავშირი 1978 წლის ციფრებით“

გამოვიდა სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ მომზადებული მოკლე სტატისტიკური კრებული „სსრ კავშირი 1978 წლის ციფრებით“ (გამომცემლობა „სტატისტიკა“).

კრებული შეიცავს სტატისტიკურ მონაცემებს 1978 წელს. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ, აგრეთვე შედარებებს 1913, 1928, 1940, 1970 და სხვა წლებთან.

სსრ კავშირის მონაცემებთან ერთად მოცემულია ზოგიერთი ცნობა, რომლებიც სხვა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას ახასიათებს. მთელი რიგი მაჩვენებლები შედარებულია კაპიტალისტური ქვეყნების მონაცემებთან.

(საკადესი).

მოქალაქე ოჯახში, სკოლაში ყალიბდება

ახალგაზრდობისათვის პარტიის ლენინური ზრუნვა ხორცშესხმულია ჩვენს ქვეყანაში. ახალ კონსტიტუციაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ახალგაზრდობის უფლება — იმუშაოს, ისწავლოს, აშენოს ნათელი მომავალი.

ჩვენი ნიჭიერი, ბეჯითი, პატრიოტი ახალგაზრდობის მკვებავი წყაროა სკოლა-ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. აქ ყალიბდება მომავლის მშენებელი, აქ ხდება მისი მოქალაქეობის ფორმირება. ოქტომბრელობა, პიონერობა, კომკავშირელობა, რომელსაც ნორჩი ადამიანი, ჭაბუკი თუ ქალიშვილი სკოლაში ეზიარება, ზრდისა და დავაჟკაცების საფეხურებია. ამ ნათელი საფეხურების გამოვლით, შემდეგ ცხოვრების დიდ გზაზე გამოსვლით ახალგაზრდა თაობა მჭიდროდ აკავშირებს თავის რიგებს მშობლიური კომუნისტური პარტიის, ლენინის პარტიის გარშემო. ჩვენი სკოლის, ლენინური კომკავშირის აღზრდილი ახალგაზრდობა გამჩაღვალულია რევოლუციური პატრიოტიზმის სულისკვეთებით, იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ამრავლოს წარმატებანი ახალი საზოგადოების აშენების დიად საქმეში. თითოეული ახალგაზრდისთვის ცხოვრების ჭეშმარიტად ბრძნული სახელმძღვანელოებია ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის წიგნები „მცირე მინა“, „აღორძინება“ და „ყამარი“. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ახალგაზრდობა უდიდესი სიამაყის გრძნობით, აღფრთოვანებით შეხვდა XXკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას, რომ აღნიშნული წიგნებისათვის, მშვიდობის დასამკვიდრებლად დაუცხრომელი ბრძოლისათვის ამხანაგ ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევს ლენინური პრემია მიენიჭოს. ეს წიგნები, ისევე როგორც მათი მგზნებარე ავტორის ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის მთელი ცხოვრების გზა, ახალგაზრდა თაობის მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის უბადლო იარაღია. ამ წიგნებს რომ სწავლობს, ახალგაზრდა ადამიანს კარგად უნდა ახსოვდეს მისი ავტორის სიტყვები, პარტიის XXV ყრილობაზე რომ თქვა: „რაც უფრო მაღლდება და ვითარდება ჩვენი საზოგადოება, მით უფრო შეუწყნარებელი ხდება სოციალისტური ზნეობის ნორმების დარღვევის ყოველი ფაქტი“. სწორედ ამის ღრმა შეგნების მარცვალი უნდა ჩაუთესოს ყრმას სკოლამ, ოჯახმა, გაუღიოს კომკავშირმა, შეგნების აღნიშნულ კეთილ მარცვალს აღმოცენების, აყვავების, გახარების ნოყიერ ნიადაგად უნდა ექცეს საზოგადოება.

საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე ამხანაგმა ე. შევარდნაძემ თქვა: „აღზრდა ემყარება დარწმუნების მეთოდს: ძალით კაცს ვერ აღზრდი. მხოლოდ დარწმუნების გზით შეიძლება ადამიანში აანთო რწმენის ჩირაღდანი, რომელიც მას გზას გაუნათებს ცხოვრებაში. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ზნეობრივი აღზრდის დარგში სკოლასა და ოჯახში დავაშაროთ ერთიანი მორალური მოთხოვნები. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის პირობებში, რადგანაც მრავალი ოჯახი იყო ტრავმირებული და დემორალიზებული კომბინატორების, მექრთამეების, გამომძალველებისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტების მომძლავრების პერიოდში “.

აღზრდის ეს ამოცანა მთელი სერიოზულობით დადგა პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე. ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებულმა ზრუნვამ დიდად ნინ წასწია საქმე. და მართლაც, როგორც ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, სწავლა-აღზრდის სფეროშიც თვალსაჩინო შედეგები იქნა მიღწეული მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის შეუნელებელი ბრძოლის ვითარებაში, რომელსაც საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, მისი ცენტრალური კომიტეტი ეწევიან. ჩვენს რესპუბლიკაში ყველა ხელსაყრელი პირობა შეიქმნა მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის. პარტიულმა და სახელმწიფო ორგანოებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სასწავლებლებმა და შრომითმა კოლექტივებმა გარკვეული გამოცდილება შეიძინეს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

მთელ აღმზრდელობით კომპლექსში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არასრულწლოვანთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევების თავიდან აცილების, სამართალდარღვევების პროფილაქტიკის ღონისძიებებს. ამ ღონისძიებათა განხორციელებაში მიღწეულ გარკვეულ წარმატებებთან ერთად ჯერ კიდევ არის შეცდომები და ხარვეზები აღმზრდელობითი და გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციაში, რაც წარმოშობს პირობებს არასრულწლოვანთა შორის უდისციპლინობის, თავაშვებულობის, ცხოვრებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულების, მართლწესრიგის დარღვევის, ზოგჯერ კი დამნაშავეობის ფაქტების დასაშვებად. არასრულწლოვანთა დამნაშავეობა ზოგან გაიზარდა. ეს კი შემაშფოთებელია და მოითხოვს პარტიული, საბჭოთა, განათლების, პროკურატურის, შინაგან საქმეთა ორგანოების, კომკავშირის, მთელი საზოგადოებრიობის ერთობლივ ბრძოლას წესრიგის დასამყარებლად, ყოველნაირად მხარი დაუჭირონ თავის დიდად ნაყოფიერ მუშაობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკურ კომისიას.

ფორმალიზმი სასკოლო ცხოვრებაში აღზრდის უპირველესი მტერია. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის ერთობლივ დადგენილებაში, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა და მოიწონა, აღნიშნულია: ფორმალიზმსა და ბიუროკრატიზმს, თვალის ახვევასა და სიყალბეს, მოჩვენებითობას, არსებული ნაკლოვანებების მიფუჩეჩებას, რეალური მდგომარეობის შელამაზებას და ზედაპირულობას, ზერელობას ჯერ კიდევ ვხვდებით სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების, რესპუბლიკის კომკავშირის კომიტეტების, პიონერთა საბჭოების, პედაგოგიური კოლექტივების, სახალხო განათლების ორგანოების, საშეფო ორგანიზაციების, ოჯახების, შშობლების აღმზრდელობით მუშაობაში. ეს კი, როგორც აღზრდის უპირველესი მტერი, თავის უარყოფითს გავლენას ახდენს მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაზე.

რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სახალხო განათლების ინსპექციის მიერ ახლახან მოკვლეული მასალებით მთელი რიგი რაიონების (გარდაბნის, ბორჯომის, დუშეთის, ზესტაფონის, თიანეთის, მცხეთის, ჩოხატაურის, წყალტუბოს, ხაშურისა და სხვ) სახალხო განათლების განყოფილებებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოვლინდა სწავლებისა და აღზრდის ორგანული ერთიანობის პრინციპის დარღვევა, გაკვეთილის, როგორც სწავლების, მოსწავლეებისათვის მაღალი იდეურ-ზნეობრივი თვისებების ჩანერგვისა და ცხოვრებისათვის მათი მომზადების ორგანიზაციის ნაცადი ფორმის დიდ შესაძლებლობათა არასაკმარისი გამოყენება, მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების დაუინტერესებლობა, განათლების სისტემის ყველა რგოლში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის, სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ ფესვგამდგარი ნეგატიური მოვლენებისა და ფორმალიზმის აღმოფხვრისთვის ბრძოლის შენელება. ქ. ხაშურის მე-2, მცხეთის რაიონის ზაჰესის საშუალო და გარდაბნის რაიონის სართიჭალისა და სააკაძის რვაწლიან სკოლებში (დირექტორები — გ. გვეტაძე, გ. თალაკვაძე, მ. ყოჩიაშვილი, ე. ზაალიშვილი) სერიოზული დარღვევები და ნაკლოვანებებია საყოველთაო სწავლების განხორციელებაში, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობაში, უგულებელყოფილია მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა, არ ზრუნავენ შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის. რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ საგანგებო ღონისძიებები განახორციელა სახალხო განათლების ორგანოებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ამ საკითხზე გამოიტანა ვრცელი დადგენილება.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარვეზებსა და ნაკლოვანებებში, ზოგან კი ჩაშლაში, ცხადია, სათავეს იღებს ის პირობები, რომლებიც მერე ხელს უწყობს არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობას, აღზრდისა და ზედამხედველობის სფეროდან მათს ამოვარდნას, განთესვას, და, ბოლოს, დამნაშავეობასაც. ამის ფაქტების აღრიცხვა კი არასასიამოვნო სურათს იძლევა. ეს იმის შედეგიც არის, რომ შშობელთა გარკვეული ნაწილი, შრომითი კოლექტივები გულგრილობასა და უპასუხისმგებლობას იჩენენ შვილების, მოსწავლე ახალგაზრდობის ყოფაქცევისა და აკადემიური ჩამორჩენისადმი; ზოგიერთი სანარმოს და მშენებლობის სამეურნეო ხელმძღვანელები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მოზარდთა შრომითს მონყობას, ნარმოებაში მათს აღზრდას, არ უქმნიან საჭირო პირობებს შრომისათვის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენებისათვის; ნაკლები კონტროლი ეწევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სხვა სახსავლო თუ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სპორტულ ორგანიზაციებში არასრულწლოვანებთან აღმზრდელობითს მუშაობასა და დისციპლინის განმტკიცებას.

როგორც სასწავლო, ისე აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური მუშაობა დაბალ დონეზე იყო ქ. სამგრეთის ერთ-ერთ სკოლაში; ეს იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ ამ სკოლის მორიგე მასწავლებელი ბ. ლეჟავა ნასამართლევი იყო სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, ხოლო აღნიშნულ სასწავლებელში მუშაობის პერიოდში სკოლის ადმინისტრაციის მიერ ოთხჯერ ჰქონდა გამოცხადებული სასტიკი საყვედური იმის გამო, რომ სამსახურში მთვრალი მოვიდა და სამსახურებრივ მოვალეობას ცუდად ასრულებდა. გასაკვირი არ არის, რომ სამტრედიის ამ სკოლის აღსაზრდელებმა იქურდეს; ცხინვალის № 48 პროფტექნიკური სასწავლებლიდან დაბრუნებული ორი არასრულწლოვანი ავტომანქანების გამტაცებელთა ჯგუფში აღმოჩნდა. ეს კი იმის შედეგი იყო, რომ აღნიშნული სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივები, განსაკუთრებით პროფილაქტიკური საბჭოები და ზოგიერთი მასწავლებელი კონტროლს არ უწევდნენ აღსაზრდელთა ყოფაქცევას. მართალია, მტკიცე და ქმედითი ღონისძიებების შედეგად სასწავლებლებში აღდგა წესრიგი და ყველა პირობა იქმნება მუშაობის გამოსასწორებლად, მაგრამ ხარვეზები ჯერაც არის. სკოლებში მუშაობის გაუმჯობესების საქმეში დიდი წვლილი უნდა შეიტანონ მათმა შეფმა სანარმოებმა.

პარტიული, საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვალია მხედველობიდან არ გამორჩეთ ოჯახში არასრულწლოვანთა აღზრდის პირობები, დაიკავონ პარტიული, პრინციპული პოზიცია იმ შშობლების მიმართ, რომლებიც ჯეროვნად არ ასრულებენ თავიანთ მშობლიურ მოვალეობებს. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მკვეთრად უნდა აამაღლონ პროფილაქტიკური საქმიანობის დონე და ქმედითიანობა; დროა, ამაღლდეს საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების პედაგოგ-ორგანიზატორთა მუშაობის ეფექტიანობა, ჯეროვნად წარმართონ აღმზრდელობითი მუშაობა ბავშვებთან საცხოვრებელ ადგილას.

ჩვენი სისხლხორცეული საქმეა მოზარდი თაობის, ახალგაზრდობის აღზრდა, ისეთი ახალგაზრდობის აღზრდა, რომელმაც უნდა გადაჭრას კომუნისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილი ამოცანა. აღზრდა კი ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში, ყველგან და ყოველთვის დიდმნიშვნელოვანი პროცესია, და მას გონივრული წარმართვა უნდა.

მოქალაქე ოჯახში, სკოლაში ყალიბდება!

პირველი მაისის შესახვედრად

ჭექნიკა დაეხმარა

სოხუმი. (საკ. კორ.). უკვე მეოთხე წელია, რაც ქიმიური ქარხანა ახალ შენობაში გადავიდა. ამ ხნის მანძილზე ყოველწლიურად იზრდება ქარხნის მწარმოებლობა, ამასთან უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. თუ საწარმო 1975 წელს ყოველდღიურად 16 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქციას ამზადებდა, დღეს უკვე 30 ათასი მანეთის ნაწარმს უშვებს.

ქარხნის თანამედროვე ტექნიკა-ალუმრკის, ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის შედეგად შესამჩნევად გაფართოვდა მზა პროდუქციის ასორტიმენტი. მარტო მარშან აქ აითვისეს 5 ახალი სახეობის ნაწარმი. ორი სახეობის პროდუქციას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიეკუთვნა.

მნიშვნელოვანი წარმატებებით შრომობს ქარხნის კოლექტივი მეათე ხუთწლედის მეოთხე წელს. მაგალითად, პირველ კვარტალში გეგმით გათვალისწინებული მილიონ 902 ათასი მანეთის ნაცვლად აქ გამოშვებულია 23 ათასი მანეთით მეტი ღირებულების ნაწარმი. ასევე გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის დავალებაც. საანგარიშო ხუთკუთხა ნიშნით დაამზადეს 212 ათასი მანეთის ნაწარმი.

ქიმიკოსებმა, რომლებიც სოხუმის საგალანტერეო ფაბრიკის კოლექტივთან სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი, გადაწყვეტეს ვადაზე ორი დღით ადრე შეასრულონ 4 თვის დავალება და ამით სამშობლოს მისცენ დამატებით 40 ათასი მანეთის პროდუქცია.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო წარმატებებს აღწევენ საღებავებისა და პოლეთილენის დამამზადებელი სამმერები, რომლებსაც მ. კუბარავა და ი. მისტაკოპულო ხელმძღვანელობენ.

ი. გოგეჩია.

რაოდენოგაც, ხარისხიც

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ხუთწლედის მეოთხე წლის პირველი კვარტალი ახალი შრომითი მაჩვენებლებით აღინიშნა ქალაქის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა. ინვარ-მარტის მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმები ქარხანამ ჯერ კიდევ 20 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულა.

— წარმოების რეზერვების სრული ამოქმედებით, შრომის დისციპლინის განმტკიცებითა და მაღალი მომთხოვნელობით მივაღწიეთ ამ მაჩვენებლებს, თქვა ქარხნის დირექტორმა კ. ქირიამ. დიდ ყურადღებას ვაქცევთ პროდუქციის ხარისხს. სახელმწიფო ხარისხის ნიშნინანი პროდუქციის გამოშვების გეგმა შეავსრულეთ 125,7 პროცენტით.

მეკონსერვეებმა აპრილის ანგარიშში უკვე 100 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია გამოუშვეს.

ДАМКВРЕЛЬСКИЙ ТРУДОВОЙ ПОДЪЕМ

МОСКВА

ПОЖАЛОВАЛИСЬ москвичи в г. Ленинский на задержки 109-й годовщины Октября. Ударным трудом отмечен 6,5 миллиона москвичей. Выполнили свои производственные задания 2.352 ударника. Среди передовиков 1.100 ударников. Выпущено 13.100 новых изделий. Из них 1.400 — на сумму 2.210 миллионов рублей. Среди передовиков — бригады Ивановой, Ивановой, Ивановой,

პარტიული კადრების სწავლება

მეცადინეობა დაამთავრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის მორიგმა ნაკადმა. ინსტიტუტის მსმენელები — მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან, პარტიის სამმხარეო, საოლქო კომიტეტებთან არსებული პარტიული კომისიების თავმჯდომარეები სწავლობდნენ კომუნისტური მშენებლობის, მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და პრაქტიკის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, კომუნისტური აღზრდისა და იდეოლოგიური საქმიანობის აქტუალურ საკითხებს. დიდი ყურადღება დაეთმო პარტიული მუშაობის, კომუნისტთა მიერ სკკპ პროგრამის დებულებათა და წესდების, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დაცვისადმი ქმედითი პარტიული კონტროლის საკითხებს პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებების, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებსა და წიგნებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების მიხედვით.

მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ი. პელშე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ი. ნ. დმიტრიევი, ი. ი. კაბაკოვი, ვ. ა. კარლოვი, თ. ი. მორალინი, ე. მ. ტიტყელნიკოვი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ს. გუსტოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეების პირველი მოადგილეები ნ. ა. პეტროვიჩევი, ვ. ვ. ზაგლადინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე პ. ი. სტარაუტინი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის რექტორი ვ. ა. მედვედევი, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ა. მ. შკოლნიკოვი, სსრ კავშირის ქვაბაბშირის მრეწველობის მინისტრი ს. თ. ბრატჩენკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პ. პავლოვი, რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრი ი. ს. შელენტიევი, სრულიად საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ნ. პასტუხოვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ს. ვ. კოზლოვი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ა. მ. რეკუნკოვი და სხვ.

ნაკადს ლექციები წაუკითხეს აკადემიკოსებმა ჯ. მ. გვიშიანმა, რ. ზ. საგდეევმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. ნ. რუტკევიჩმა, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ნ. ვინოგრადოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სამინისტროების, უწყებების პასუხისმგებელმა მუშაკებმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებმა. პარტიული მუშაობის აქტუალურ პრობლემებზე მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. კონოტოპი, სკკპ ედმერთოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ა. გორშკოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი.

მსმენელები გაეცნენ დედაქალაქის პარტიის რაიკომებისა და მოსკოვის ოლქის პარტიის საქალაქო კომიტეტების პარტიული კომისიების საქმიანობას. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტში მოეწყო თათბირი პარტიული კომისიების მუშაობის ვამოცდილების გაზიარებისა და პარტიული კონტროლის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

მაღალი ჯილდო

1979 წლის პირველ კვარტალში სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიენიჭა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

აქტივის რესპუბლიკურ კრებაზე სამინისტროს წარმომადგენლებს ჯილდო გადასცა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. დემენცევმა. კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე დ. ქარგელეშვილი, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ფ. ანანიაშვილი, რესპუბლიკის ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე კ. ციმაკურიძე, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი რ. ბასარია, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების ფინანსთა მინისტრები დ. ჯიჭონაია და ს. ჯიჯეიშვილი, საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს უფროსი ო. გიორგობიანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ნ. მალაშხია, სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი ზ. გენძეხაძე.

აქტივის კრების მონაწილეებმა ადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. კოლბინი და ზ. პატარიძე.

(საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება: რაიკომი და შეჯიბრება

ვხედავდეთ პერსპექტივას

სამოცი წლის წინათ „დიდმა თაოსნობამ“, როგორც ვ. ი. ლენინმა პირველ კომუნისტურ შაბათობებს უწოდა, თავის წიაღში შვა სოციალისტური შეჯიბრება. დრო ყოველგვარი სიაზლის პირუთვნელი მსაჯულია. ამდენად დღეს ნახევარსუკუნოვანი თვალსაწიერიდან ნათლად მოჩანს ის დიდი როლი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში სოციალისტურმა შეჯიბრებამ შეასრულა პირველი ხუთწლედებიდან დღემდე.

მახარაძელი მშრომელები საკუთარი მაგალითით დარწმუნდნენ, თუ რა ეფექტიანია, წარმატებისათვის ბრძოლის რა სამედო საშუალებაა სოციალისტური შეჯიბრება, როდესაც მიზანმიმართულია მისი ორგანიზაცია, სწორად არის გაგებული მრავალი ასპექტი, შეჯიბრების ფართოდ გაშლისას, თითოეული მშრომელისათვის მისი გაცნობისას რომ იჩენს ხოლმე თავს.

დავიწყოთ თუნდაც იმ მდიდარი ტრადიციებით, რომლებიც მახარაძელ მშრომელებს აქვთ. სოფელ შრომის და უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის სოფელ როვნოს კოლმეურნეობების მეგობრობა და შრომითი მეტოქეობა, რომელსაც სამრკველი ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ჩაეყარა და იმ ჭარბეცხლიან დღეებში კიდევ უფრო შედუღაბდა და განტკიცდა, გასცდა სოფლის ფარგლებს და რაიონების მეგობრობასა და ძმობაში გადაიზარდა. ასეთი ნათელი მაგალითი მიმდევრებს უთუოდ გაიჩენს ხოლმე. ასე მოხდა ამჯერადაც. შრომელთა მაგალითს მიბაძეს ნატანებელმა კოლმეურნეებმა, რომელთაც შრომითი მეტოქეობა აქვთ გაჩაღებული სომხეთის სსრ ოქტემბერიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანის თანამოსაქმეებთან. მახარაძელი მშრომელები ზუგდიდელებს ეჯიბრებიან...

სოციალისტური შეჯიბრება წარმატების ნაღდი საშუალებაა, მაგრამ იგი თავისთავად არ მოდის. არც მზა რეცეპტები არსებობს, ჩამოსხმული ყალიბები ყველანაირ სიტუაციას ერთნაირად რომ მიესადაგოს (თვითდინებაზე მიშვებული შეჯიბრების შედეგების სანაბავად, სამწუხაროდ, ცხრა მთის გადავლა არ დაგეჭირდება), მთავარი, ჩემი აზრით, მისი სწორი ორგანიზაციაა. პარტიის რაიონული კომიტეტის (რა თქმა უნდა, ჩვენი რაიონის მაგალითზე ვლაპარაკობ) ზრუნვა, მეთვალყურეობა, კონტროლი და დახმარება შეჯიბრებისადმი კამპანიერ ხასიათისა არ უნდა იყოს. იგი დღენიადაგ უნდა ზრუნავდეს მისთვის. პარტიის რაიკომი კი მისი ფხიზელი მეთვალყურე და ერთგული მრჩეველია. უფრო მეტიც — სოფლად არც ერთმა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანმა კამპანიამ ისე არ უნდა ჩაიაროს, რომ მასში თვალსაჩინო როლი არ მიუძღოდეს სოციალისტურ შეჯიბრებას.

პრაქტიკამ, გამოცდილებამ ღრმად დაგვარწმუნა, რომ სოციალისტური შეჯიბრების მთავარი მტერი ფორმალიზმი, ზერელობაა. ამიტომ ჩვენ მას შეჯიბრების ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობა დავუპირისპირეთ. ეს შესაძლებელი გახდა პირველულ პარტიულ ორგანიზაციებთან და სამეურნეო ხელმძღვანელებთან ჩვენი აპარატის მუშაკების უწყვეტი კონტაქტის მეშვეობით. მტკიცედ დამკვიდრდა პარტიის რაიკომის ყოველდღიური ინფორმირება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

ცხოვრება გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ. დროის მდინარება, რა თქმა უნდა, თავის კვალს აჩნევს ადამიანთა ყოფას, ცხოვრებას, შრომის, წარმოების პირობებს. ტექნიკის განვითარებისა და საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შედეგად გაუმჯობესდა შრომის პირობები, გაჩნდა ახალი პროფესიები. მაგალითად, ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციამ ამ დარგის მექანიზატორის ახალი პროფესია წარმოშვა. ჩვენი ქალები არა მარტო მცირე მექანიზაციას დაეუფლნენ — ჩაის ფოთლის ხელის სკარფი აპარატებით მუშაობენ. ისინი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ საჭესაც მოუსხდნენ. ახალს არაფერს ვიტყვი, თუ ავლენშნავ, რომ სამეურნეო დარგის სიახლეებს იდეოლოგიური უზრუნველყოფა სჭირდება. მუშაობა თანამედროვე მოთხოვნათა კვალდაკვალ, მის დონეზე უნდა წარიმართოს, რაც დიდწილად სოციალისტურ შეჯიბრებასაც ეხება. უნდა ვეცადოთ, რომ მასების შემოქმედებითს აქტიურობას სულ ახალი და ახალი მიმართულება მივცეთ.

ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინი წერდა: „მხარი დავუჭიროთ ახლის ყველა და ყოველგვარ ყლორტს, რომელთაგან ცხოვრება შეარჩევს ყველაზე სიცოცხლისუნარიან ყლორტებს“. ამგვარი „სიახლის „ყლორტებს“ „მწვანე შუქი“ აქვს ბაზად ჩვენთან. დროის მოთხოვნებით იყო ნაკარნახევი ქ. მახარაძის კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელთა მოწოდება — „არც ერთი შრომისუნარიანი კოლმეურნე — საკალდებულო მინიმუმის გარეშე!“, ნატანებელთა ინიციატივა — „ხარისხის ნიშანი — ჩაის პლანტაციებს!“, გურიანთელთა მოძრაობა — „კომუნისტური შრომის ოჯახის“ წოდებისათვის (ეს უკანასკნელი შრომელ კოლმეურნეთა თაოსნობის — „ხუთწლედი ჩვენს ოჯახში“ — ერთგვარი გაგრძელება-განვითარებაა). აღნიშნული თაოსნობანი მოიწონა პარტიის რაიკომის ბიურომ და სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რაიონული კომისიის რეკომენდაციებით სწრაფად გავრცელდა სხვა შრომითს კოლექტივებშიც.

სოციალისტური შეჯიბრების მტერია ბარეთვი ერთფეროვნება. იგი მას ადგილზე ყინავს. სოციალისტური შეჯიბრება, როგორც ცნობილია, მასების ცოცხალი შემოქმედებაა და ერთ წერტილზე გაჩერება შეუძლებელია. ამიტომ მისი ორგანიზაციაც მუდმივ სრულყოფას მოითხოვს. უსიახლეებოდ წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია. ერთი სასიამოვნო სიახლის მოწმენი ამ რამდენიმე ხნის წინათ გავხდით: იშვა წამოწყება — გაიშალოს კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრება. მან უმოკლეს დროში ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგს: მუშაკი მოიცვა. მეჩაიეობაში ამ შეჯიბრების ფორმულირება ასეთია — „ჩაის პლანტაცია-ტრანსპორტი-ჩაის ფაბრიკა“. ერთი დარგის მუშაკები, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა უბანზე იღვწიან, ერთმანეთს ეჯიბრებიან და ამავე დროს ერთმანეთის მოსახლეობის საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევიან.

სწორედ ამის დასტურია, რომ შარშან ჩვენმა მეჩაიეებმა რაიონის ისტორიაში არნახული მოსავალი მოიწიეს — 76.612 ტონა ჩაის ფოთოლი, თანაც კომპლექსურმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ უზრუნველყო დევიზი — „რაოდენობაც, ხარისხიც!“.

მეჩაიეებმა შესანშნავი მაგალითი მისცეს მეციტრუსეებს. მოგეხსენებათ, უკვე ნაცადი გამოცდილების გადმოღება შედარებით იოლია, ვიდრე გზის გაკვალვა. მეციტრუსეები ღირსნი აღმოჩნდნენ კარგი ესტაფეტისა — 19 ათასი ტონა ციტრუსი! — აი პატაკი.

აქვე ვიტყვი იმასაც, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის სხვა რაიონებს რეკომენდაცია მისცა დანერგონ მახარაძელთა ეს საინტერესო გამოცდილება.

შეჯიბრება მეტ ეფექტს განსაკუთრებით მაშინ იძენს, როდესაც მისი შედეგები ყველასათვის ნათელი ხდება. ყველა უნდა ხედავდეს წინ მიმავალს, იცნობდეს და ბაძავდეს კიდეც მას. ის კი, მოწინავე, ზურგს უკან მეტოქეს სუნთქავს უნდა გრძნობდეს, იცოდეს, რომ ყურადღების ოდნავი მოდუნება, ტემპის შენელება და... წინმავალის საპატიო ხაზელს დაკმშვიდობება. ამიტომ ადგილობრივ პრესაში შეჯიბრების შედეგებს რეგულარულად ვაქვეყნებთ, ვასახელებთ და ვაქებთ მოწინავეებს, ჩრდილში არც ჩამორჩენილებს ვტოვებთ, დე, მათაც ეარძნონ, რომ კუდში მაჩანჩალის ხვედრი იოლი არ არის.

წარმატება ისევე გადამდებია, როგორც წარუმატებლობა. ერთის მიღწევა მეორეში მისი განმეორების სურვილს ბადებს და საქმე წინ მიდის. ასე გაუღვიძა გამარჯვების სურვილი ჩვენს მეცხოველეებს მეჩაიეთა და მეციტრუსეთა საჩინო წარმატებებმა. მათ აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობები და გადაწყვიტეს წლეულს 50 პროცენტით შეამცირონ სახელმწიფო დოტაციის სახით ბორცის მიღება, ხოლო 1980 წელს სახელმწიფოს ჩაბარონ იმ რაოდენობის ხორცი (2 ათასი ტონა), რაც წლიურად რაიონის მოსახლეობის საზოგადოებრივ საჭიროებათა დაკმაყოფილებას ხმარდება. გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს მახარაძელებმა ავრეთვე კვერცხის წარმოებასა და დამზადებაში.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ვალდებულება ჯერ კიდევ არ არის გამარჯვება. იგი შედეგებში უნდა ვეძიოთ. ხოლო იმისათვის, რომ შედეგები მაღალი იყოს, კონტროლია საჭირო, გზადაგზა რეგულარული, მკაცრი კონტროლი, თუ როგორ სრულდება ნაკისრი ვალდებულებები. პასუხისმგებლობა ვალდებულებისათვის — აი, რა უნდა გამოვუმეშაოთ თითოეულ. მუშაკს. ჩვენ იმედი გვაქვს ჩვენი მეცხოველეებისა. მათ უკვე ჩაუყარეს საფუძველი მომავალ მოღვაწეობს. წარმატებით ხორცეულდება ნატანებელ და ასკანელ მეცხოველეთა ინიციატივები — „გავზარდოთ ჯოჯში ფუურების ხვედრითი წილი“ „საკუთარი წარმოების უხეში საკვებით უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა“, აგრეთვე შრომის კოლმეურნეობის წევრთა თაოსნობა — „ყოველ ოჯახს — თითო ძროხა თავისი ნამატით და თითო გოჭი გამოსაზრდელად“.

რა თქმა უნდა, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში ამ დადებითს გამოცდილებასთან ერთად ნაკლოვანებანი და ხარვეზებიც გვაქვს. ყოველთვის, როცა სულ უბნობენელო ნაკლიც კი იჩენს ხოლმე თავს ჩვენს მუშაობაში, მაშინვე ვაქცევთ ყურადღებას, რამეთუ დროზე შემჩნეული ნაკლი ადვილად გამოსასწორებელია. მისი წარმოშობის მიზეზი კი იქვე უნდა ეძებო, საკუთარ საქმიანობაში, თუ გნებავთ, გამარჯვების გვერდითაც კი. ასე ყოფილა ოდითგან — წარმატება და წარუმატებლობა ერთმანეთის გვერდით მიდიან და, რაგინდ პარადოქსულადაც უნდა მოეჩვენოს ვინმეს, ერთურთს არ გამოოიცხვის. ძებნას ყოველთვის მოჰყვება პოვნა, ხოლო ნაკლის ძირის პოვნა თითქმის მისი აღმოფხვრის ტოლფასია.

მახარაძელ მშრომელთა გარჯა ღირსეულად დაფასდა — 1978 წელს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გავიმარჯვეთ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დავინაკუთრეთ. საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა მიიღეს ჭალეთელ სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ, ნარეკვავის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ. რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა გადაეცათ სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობისა და ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის კოლექტივებს.

ყველა ამ წარმატებას ჩვენი სახელოვანი მშრომელების წყალობით ვივაღწიეთ. რაიონი სამართლიანად ამაყობს ისეთი მოწინავე ადამიანებით, როგორიც არიან მ. ორაგველიძე, გ. წითლიძე, ტ. ჩხაიძე, ვ. ჯაფუა, ს. მუხაშავრია, ვ. ჭეიშვილი, დ. ტაკიძე, ლ. გოგოტიშვილი, ზ. ბაკულიძე, ს. ქურიძე, ტ. ზუბჩენკო, გ. ჭკირია, ე. ზახაროვა, გ. ქადეიშვილი, გ. სირაძე, ლ. სკამკოჩაიშვილი, ლ. ჩხარტიშვილი, ნ. ნიკოლაიშვილი, ზ. ურუშაძე, დ. მახარაძე, ც. თალაკვაძე და მრავალი სხვა.

ჩვენი აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია მარტოოდენ აწმყოს, თუ გინდ ღირსეულს, როდი გულისხმობს. იგი უთუოდ მოიცავს მერმისზე ფიქრს და ზრუნვას. პერსპექტიული ხედვა, ხვალინდელ დღეზე ფიქრი ყოველი ჩვენგანის ვალია და ჩვენი დღევანდელი საქმიანობაც ისე უნდა წარვმართოთ, რომ დღევანდელი გუშინდელს სჯობდეს, ხოლო ხვალინდელი დღევანდელზე უკეთესი იყოს. სხვაგვარად ცხოვრება აზრს დაკარგავდა, სხვაგვარად სოციალისტური შეჯიბრების გაგებაც ხომ წარმოუდგენელია.

რესპუბლიკის კომუნისტთა დიდ ფორუმზე — XXV ყრილობაზე თქვა: „უთუოდ სწორია გადაწყვეტილება, რომელსაც დღეს მოიწონებენ, მაგრამ ათასგზით უფრო სწორია ის, რასაც ოცი-ოდე წლის მერე, მომავალში მოიწონებენ“. და თუ მახარაძელი კომუნისტების საქმიანობაც ყველაზე მკაცრ და მიუკერძოებელ მსაჯულ — მომავლის საზომს გაუძლებს და თამამად გაუსწორებს თვალს მერმისსს, ჩვენთვის ეს ყველაზე დიდი და საამაყო ჯილდო იქნება.

დ. დვალიშვილი,
საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი.

ტექნიკური პროგრესი დროის მოთხოვნაა

ეფექტურობა ქმნიან სამმართველოები

ბიათურა. (საკ. კორ.). მანგანუმის მადნის გამოღების მექანიზაციის პრობლემა კარგა ხანს გადაწყდა.

ასეა ძირითადად, მაგრამ ცალკეული საწარმოო უბნები განლაგებულია ძველად დანონამუშევარ ველებში. ეიწრო წმენდითი სანერგეები, არამდგრადი ჭერი შეუძლებელს ხდის მძლავრი სამთო ტრანსპორტის და ელექტროსატვირთებლების გამოყენებას.

სამთოელებს სერიოზულად აფიქრებთ წარმოების ეს ეიწრო ადგილი, სადაც დღემდე შემორჩენილი იყო ხელის შრომა. და აი, დიდი ფიქრის, ძიების, კონსტრუქციების შექმნისა და გამოცდის შემდეგ პრობლემა დადებითად გადაიჭრა.

სამთამადნო კომბინატის მთავარი ინჟინრის ა. ხობუას ინიციატივით ადგილზე დაპროექტდა და შეიქმნა ახალი გადამტვირთველი „ნა-2“, რომელიც ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ცნობილმა გვირაბგამყვანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა პ. ჭიტაძემ გამოსცადა. გამოირკვა, რომ იგი შრომის ნაყოფიერებას 20-25 პროცენტით ზრდის.

ო. ნიჟაბაძე.

200 მუშამ ხუთწლედი შეასრულა

ბიათურელმა მაღაროელებმა პირველი ხუთწლედის 50 წლისთავის დღესასწაულს ღირსეული საჩუქარი მოუმზადეს. „ბიათურმანგანუმის“ სამთამადნო კომბინატის 200 მუშამ სამშობლოს უპატაკა მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულება. მათი სახელები ქალაქის საპატიო წიგნშია შეტანილი.

წარმატებას მიაღწიეს შრომის ნაყოფიერების ამაღლების, დამზმარე და მოსამზადებელ სამუშაოებზე დროის დაზოგვისა და მექანიზაციის ფართოდ დანერგვის გზით. (საქინფორმი).

ჩვენ ვაფასებთ ქმნიან სამმართველოს

პრობლემა: დავძლიოთ სოფლად ხუთწლედის სამ ფელიფადში გამოვლენილი ნაკლოვანებები!

რაც გეგმით დავსახეთ

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ამას წინათ ითქვა, ცალკეული რაიონების ჩამორჩენის შედეგად ხუთწლიანი გეგმის შესრულება საფრთხეშიაო. ამაზე ნათლად მეტყველებს მეათე ხუთწლედის განვლილი სამი სამეურნეო წელი. კერძოდ, დიდი კითხვის ქვეშ დგას სოფლის მეურნეობის პროდუქტების — ბორცის, რძის, კვერცხის ,ბოსტნეულის წარმოების სახელმწიფო გეგმების შესრულების საქმე. რამდენად ეხება ეს კრიტიკული სიგნალი დუშეთის რაიონს? ამ კითხვით დაიწყო საუბარი გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველ მდივანთან ამხ. ჯ. კერესელიძესთან.

— ის რაც ხუთწლედის დასაწყისში გეგმად დავსახეთ, ნამდვილად შესრულდება, — ამბობს მდივანი. — გადავხედოთ განვლილ სამ სამეურნეო წელს. მეათე ხუთწლედში მთლიანად მარცვლეული დაგეგმილი გვაქვს 3.520 ტონა. სამ წელიწადში მივიღეთ 3.619 ტონა, ე. ი. ხუთწლედის გეგმა უკვე შევასრულეთ 102 პროცენტით.

მეათე ხუთწლედში 4.660 ტონა ბოსტნეული „უნდა მივიწიოთ. უკვე მოვიყვანეთ 4.311 ტონა. მათემატიკის ენით რომ ვთქვათ, ორ სამეურნეო წელიწადში საქმის 8 პროცენტიღა დაგვრჩება გასაკეთებელი. ეს კი ძნელი არ არის. ასევე შესრულდება მატყლის დამზადების გეგმაც.

1976 წელს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 11.870 ცენტნერი ხორცი, ფაქტიურად მიჰყიდეს 13.737 ცენტნერი. 1977 წელს იგივე გეგმა 132 პროცენტით შესრულდა. ასევე იყო შარშანაც.

გადაჭარბებით სრულდება აგრეთვე სახელმწიფოსათვის რძისა და კვერცხის მიყიდვის გეგმები. და მაინც უნდა ვთქვათ: კრიტიკული სიგნალი იმის შესახებ, რომ საფრთხეშია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სახელმწიფო გეგმები, ჩვენც გვეხება.

ალბათ მიხვდით, რომ თავდაპირველად დასახული ამოცანები არცთუ ისე რთული გადასაწყვეტია. ის ტონები და ცენტნერები, წეღან რომ ვახსენეთ, ერთობ ცოტაა დღეისათვის. ეს მხოლოდ მინიმუმია, ჩვენ კი მაქსიმუმი უნდა მივიღოთ.

რაიონის ეკონომიკის, განსაკუთრებით სამთო მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგების ახლანდელი მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე გადიდებულ მოთხოვნებს და დუშეთის რაიონის სპეციალიზაციის პროფილს, მეტადრე პროდუქტიული მეცხოველეობის ხაზით. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდისათვის ჯეროვნად ვერ ვიყენებდით რაიონის ბუნებრივ პირობებს.

გაითვალისწინეს რა ამგვარი მდგომარეობა, 1976 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „დუშეთის რაიონის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ჩვენთვის საპროგრამო ეს დადგენილება მეათე ხუთწლედშივე ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დიდ ზრდას. მაგრამ დღესდღეობით, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მაინც შევფერხდით.

რით გამოიხატა და რამ გამოიწვია ეს შეფერხება?

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, შარშან უნდა დაწყებულიყო და წლეულს დამთავრებულიყო 800 სულისათვის გათვალისწინებული მეძროხეობის კომპლექსის შენებლობა. უნდა აშენებულიყო აგრეთვე მეფრინველეობის რეპროდუქტორი 30 ათასი მოქცეულისათვის. იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სათანადო თანხა ვერ გამოყო და დროზე ვერ მოამზადდა ტექნიკური დოკუმენტაცია, ორივე ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემა სულ ცოტა ერთი წლით დაიგვიანებს. დადგენილების შედეგად მიღებული ხუთწლიანი გეგმა კი ითვალისწინებდა, რომ ორივე ობიექტს გაისად უნდა მოეცა დიდძალი ხორცი, რძე და კვერცხი.

როგორ ურიგდებით დუშელები იმას, რომ ჭიანურდება ესოდენ მნიშვნელოვანი დადგენილების ხორცშესხმა და ამის გამო ვერ სრულდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები?

თქმა იმისა, თითქოს ჩვენ ამ შეფერხებას ვურიგდებოდეთ, სწორი არ იქნება. პარტიის რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი, მთელი პარტიული აქტივი მანამდე ვიბრძოლეთ, სანამ ჩვენი რაიონის ეკონომიკისა და კულტურის დიდი აღმავლობის იმედის მომცემი ეს დადგენილება ძალაში არ გვყოფნიდა. საკოლმეურნეო საქონელი მოსახლეობაში გვყავდა გაბარებული (მაღარსკარის კოლმეურნეობაში დღესაც გვაქვს ამისი შეუწყნარებელი მაგალითი).

უკანასკნელ წლებში ავაშენეთ ტიპური ბოსლები და ფარეხები. აქ უკვე მექანიზაციასაც ვიყენებთ. შემსუბუქდა შრომატევადი სამუშაოები მაგრამ ერთ წინააღმდეგობას ვაწყდებით. მწყემსებმა და მწველავებმა არ იციან ფერმებში დამონტაჟებული ტექნიკის გამოყენება, რის გამოც ძვირად ღირებული დანადგარები ფუჭდება. რა დასამალია, რომ „საქსოფლტექნიკაში“ სახელდახელოდ შექმნილ პროფესიული ცოდნა საკმარისი არ არის და ფერმის მუშრომელები ტექნიკისას ბევრს ვერაფერს იგებენ.

სამრეწველო სიმძლავრენი ვადამდე

ენგურის ელესლოზა-ქაღალდის კომბინატის სპეციალისტებმა შემქედროებულ ვადებში დაამონტაჟეს გოფრირებული მუყაოსაგან ტარის დამამზადებელი ახალი ავტომატური ხაზი, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცა გრაფიკით გათვალისწინებულზე ორი კვირით ადრე.

მიმდინარე წელს ენგურელმა ქაღალდის დამამზადებლებმა თითქმის 18 პროცენტით მეტი პროდუქცია უნდა გამოუშვან, ვიდრე შარშან. ეს განხორციელდება წარმოების ტექნიკური სრულყოფის, არსებულ სიმძლავრეთა ათვისების შედეგად. (საქინფორმი).

ჩვენ არაფერი გვითქვამს ყურძენზე, ხილსა და თაფლზე.

საუბარი ჩაიწერა
ჯ. ქურხულმა.
დუშეთის რაიონი.

ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ!

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘ

ნუალტგოზი მთავრდება საკოლმეურნეობათაშორისო სანატორიუმის მშენებლობა. აქ ერთდროულად დაისვენებს და იმკურნალებს სოფლის მეურნეობის 500 მუშაკი.

კომპლექსის მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის მოძრავი მექანიზებული კოლონა.

სურათებზე: ზემოთ — წყალტუბოს საკოლმეურნეობათაშორისო სანატორიუმი; მოწინავე კომპლექსური ბრიგადის წევრები (მარცხნიდან) — მომპირკეთებელი შოთა სულხანია, ხურო ჯუმბერ ჯიქია, მემონტაჟეები აბესალომ ქაჯაია და ბიძინა შველიძე.

გ. ბერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

განმუხური ხარაჩოებში

ᲓᲦᲘᲗᲘ ᲓᲦᲔ მშენდება სოფელი განმუხური. მამამაპაური ბორანი კაპიტალურმა ხიდმა შეცვალა. ხიდიდან სოფლის ცენტრამდე გზა სრულ წესრიგში იქნა მოყვანილი. მთავრდება სკოლის სამსართულიანი შენობის მშენებლობა, იგი მაისის დამლევს გადაეცემა საექსპლოატაციოდ. მალე მწყობრში ჩადგება სასოფლო საბჭოს ორსართულიანი შენობა.

დაიწყო 16-ბინიანი, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომლის დამთავრებაც მესამე კვარტალშია გათვალისწინებული. დაიგეგმა ორსართულიანი 32 ოთახიანი ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა. წელს ათვისებული იქნება 40000 მანეთი. მშენებლობებს 133-ე და 26-ე მოძრავი მექანიზებული კოლონები აწარმოებენ.

მომავალ წელს დაიწყება სამადგილიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტის, აგრეთვე კლუბის, აბანოს და საბავშვო ბაგის მშენებლობა.

„ᲛᲔᲒᲠᲫᲝᲚᲘ“ (ზუგდიდი).

ᲤᲔᲠᲛᲐᲨᲘ ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘᲡ ᲡᲘᲣᲮᲕᲔᲐ

ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘᲡ სიუხვეა კაჭრეთის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმაში. მეფრინველეები ყოველდღიურად 1600-1700

ჩვენი შინაგანი რეზერვები

კარგია, რომ თაოსნობას ვიჩენთ, მაგრამ ყოველთვის როდი ვზრუნავთ მისი ღრმად შესწავლისათვის, მასობრივად გავრცელებისა და დანერგვისათვის. ამ თემაზეა საუბარი კორესპონდენციაში.

ჩარხი წალმა და უკუღმა...

ის-ის იყო ვანომ ჩარხი ჩართო და პირველი დეტალი დაამაგრა, რომ თავს ოსტატი დაადგა. „ასე არ ვარგა, ჩემო ვანო, შენ არასდროს არავითარ თაოსნობას არ იჩენ, მითითებას ყოველთვის ჩვენგან ელოდები. აი დღეს, მაგალითად, გახვიხლეთ მანქანათმშენებელთა თაოსნობა შრომისნაყოფიერების გადიდების თაობაზე, და შენ მათ უნდა გამოეხმაურო, აი ასე მუშაობენ ისინი“... — უთხრა მან და ჩარხი რის ვაი-ვაგლახით ერთ გვერდზე გადააბრუნა.

ვანომ მუშაობა განაგრძო, მაგრამ ჩარხი ცუდად მუშაობდა. წვალებაში გაატარა მთელი ცვლა.

მეორე დღეს ოსტატმა კვლავ მოაკითხა, კიდევ ერთი ახალი თაოსნობა გააცო, და... ჩარხი ახლა მეორე გვერდზე გადააბრუნა.

კიდევ უფრო გაუჭირდა ჩარხსაც და ვანოსაც, მაგრამ რას იზამდა. იმ დღეს ნორმა მაინც შეასრულა.

მესამე დღესაც შემოიარა ოსტატმა და კვლავ ახალი თაოსნობით „გაახარა“, მერე კი ვანოს ჩარხი... გულაღმა ამოაყირავა.

ჩარხს მუშაობა სულ უფრო უჭირდა, მერე გუგუნიც შეწყვიტა. ვანომ ჩარხი ფეხზე დააყენა, რემონტს შეუდგა.

მეოთხე დღეს ოსტატმა რომ ჩამოიარა, და ვანო ჩარხქვეშ შემძვრალი დაინახა, სიხარულით შესძახა: „შესანიშნავია, ჩემო ვანო, როგორც იქნა, ვეღირსეთ, რომ შენ თვითონ გამოიჩინე თაოსნობაო“.

„რა თაოსნობა, ჩარხს ვარემონტებო“, — უთხრა ვანომ.

ამაოდ დაუწყებენ ძებნას თბილისელი, რუსთაველი, ქუთაისელი, თუ ბათუმელი წარმოების მუშაკები აქ მოთხრობილ გროტესკულ ამბავში რეალურ ფაქტებს. ეს ფელეტონია, რომელშიც ჩვენ მიერ ჩამატებული მხოლოდ მუშის სახელია და მეტი არაფერი. მაგრამ თუ კარგად დაუკვირდებით, იგი არცთუ ისე ცუდად გამოხატავს იმ დამოკიდებულებას, რომელსაც აქა-იქ ჯერ კიდევ კიჩენთ დიდი თუ მცირე თაოსნობის პროპაგანდის, მოწინავეთა გამოცდილების შესწავლის და დანერგვა-გავრცელების საქმეში.

რეზერვების ძიების, ამოქმედების და მაქსიმალური გამოყენებისათვის თაოსანთა გამოცდილების, გაზიარება, დანერგვა დღეს ჩვენი სისტემაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა. და ბევრი წარმოების მუშაკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ მოთხოვნას დიდი გულისყურით, შეგნებულად მოეკიდნენ და ეკიდებიან. ამის დასტურია არა ერთი თაოსნობის, გამოცდილების მართლაც ღრმა, საფუძვლიანი შესწავლა და გავრცელება, რომლებმაც ხელი შეუწყო იმას, რომ უკანასკნელ წლებში ყველა რგოლში გაბმტკიცდა საწარმოო დისციპლინა, ამაღლდა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, მინიმუმამდე შემცირდა ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი, დაჩქარდა წარმოების პროგრესი, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. **და ამას, იმით მივაღწიეთ, რომ საზოგადოებრივ ინტერესებამდე ამაღლებული, შინაგან მოთხოვნილებად ქცეული შრომა, პატრიოტული გრძნობა ხდება ბევრი ჩვენი კოლექტივის ყოველდღიური საქმიანობის მეგზური.**

აი ეს არის ის დიდი რწმენის კედელი, რომელსაც უნდა დაეყრდნოთ პრაქტიკული წარმატებების მოპოვებისათვის რეზერვების ძიების და ამოქმედების დროს.

ერთი სიტყვით, ყოველ კონკრეტულ ინიციატივას არა მარტო მოჩვენებითი ყურადღება, არამედ მუდმივი შესწავლა, პრაქტიკული განზოგადება, ნოყიერი ნიადაგის ძიება სჭირდება.

ყოველთვის და ყველგან ვეკითებთ თუ არა ყოველივე ამას? ყოველთვის ვიღებთ თუ არა იმ უკუგებას, რომელსაც ამა თუ იმ თაოსნობისაგან მისი დაწყების სტადიაში „გეგმამვთ“ და მოველით? პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ — არა. და ამის კონკრეტული ფაქტების მოყვანა ალბათ არც დაგვჭირდება, ერთი ზოგადი მაგალითიც კარგად დაგვდასტურებს ამ განცხადების სისწორეს, რამეთუ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში დაიბადა. ოცზე მეტი ფრიად საყურადღებო თაოსნობა, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას ითვალისწინებდა, მაგრამ, თუმცა ყველა მათგანი დასაწყისში კოცონივით აგიზგიზდა, ზოგიერთი მაინცდამაინც ვერ აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი, თანდათან მიხლეა, ჩაქრა და მივიწყებას მიეცა კიდეც, რადგან ვერ გამორდა ვიწრო ჩარჩოებს, მხოლოდ ინიციატორის კუთვნილებად დარჩა. რატომ? იმიტომ კომბინატში, სხვაგან ვერ მოჰყვა, რადგან ისინი სარგებლობდნენ თაოსნის მუშაობის მეთოდების ზოგადი რეკომენდაციებით, რომლებიც დარგის მასშტაბით მაშინ გაავრცელეს. პრაქტიკულად ადგილზე კი არავინ მისულა გამოცდილების გასაზიარებლად, იმთავითვე არ შექმნილა მისი შემსწავლელი სპეციალური ინსტიტუტი, რომელსაც ჩვენ დღეს გამოცდილების გაზიარების სკოლას ვუწოდებთ და სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს უკანასკნელი წლების სინამდვილეში.

ანალოგიური ბედი ეწია და დარგის პნევმატური დაზგების უბნები მთლიანად ვერ მოიცვა თბილისის აბრეშუმის საწარმოთა გაერთიანების მეთაური საწარმოს ქვეოსტატის ცასილ გეგეშიძის მქსოველთა ბრიგადის თაოსნობამ, რომელიც ცვალებადი გრაფიკით მუშაობას და შესვენებას ითვალისწინებს და სამუშაო დროის დიდ ეკონომიას იძლევა.

მშრომელთა კოლექტივების თაოსნობის გავრცელების, შესწავლის და პრაქტიკულად გამოყენების ნიმუში იყო და არის, მაგალითად, რუსთაველთა პატრიოტული ინიციატივა, რომელმაც ჩვენს რესპუბლიკაში საფუძველი ჩაუყარა საერთო-სახალხო მოძრაობას სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის. უჩამორჩენილებოდ მუშაობის გამოცდილება, რომელიც რუსთაველმა მეტალურგებმა დაგროვეს, დღესაც არის საწარმოს კოლექტივის, მისი ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური შესწავლის, განზოგადების საგანი. კოლექტივი დღითი დღე ამდიდრებს გამოცდილებას, საკუთარი რეკომენდაციებით ამარაგებს არა მარტო თავისსავე საწარმოო უბნებს, არამედ ყველას, ვინც ამით დაინტერესდება. საწარმოში შექმნილია დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობის ორგანიზაციის სპეციალური მეთოდიკური კაბინეტი, სადაც ყოველთვის გულღიად ხვდებიან გამოცდილების გასაზიარებლად ჩამოსულებს და ზმირად თვითონაც უგზავნიან რეკომენდაციებს... გამოცდილების განზოგადებისათვის იღვწის ქალაქის პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება მიუძღვნა მას, ათასობით ადამიანი პრაქტიკულად გაეცნო მეტალურგთა მუშაობის მეთოდებს, იწამა მათი პატრიოტული სულისკვეთება, ის დიდი სწრაფვა, რომ ძირეულად გაუმჯობესონ მუშაობის ხარისხი, გაზარდონ პასუხისმგებლობა, სანმუშო წესრიგი დაამყარონ ყველა უბანზე.

საქმისადმი შეგნებული დამოკიდებულების ამ სანმუშო მაგალითის რესპუბლიკის მასშტაბის დონემდე აყვანილ პროპაგანდას, მის ღრმა მეცნიერულ შესწავლასა და განზოგადებას, კარგად ვიცით, რა შედეგიც მოჰყვა. მეტალურგებმა მალე დაძლიეს ჩამორჩენა, ყველა რგოლში განამტკიცეს საწარმოო დისციპლინა, პასუხისმგებლობა, და განაგრძეს ბრძოლა დისციპლინის ელემენტარული ნორმებიდან მის უფრო თვისებრივად მაღალ ფუნდამენტურ საფეხურზე ასაყვანად.

სწორედ ამ მეორე ეტაპზე იშვა ქალაქ ქუთაისისა და თბილისის პირველი მაისის რაიონის პარტიული ორგანიზაციების თაოსნობა, რომელმაც უკვე ვალდებულების სახე მიიღო და უჩამორჩენილებოდ მუშაობის უთუო მიღწევას ითვალისწინებდა. რუსთაველ მეტალურგთა გამოცდილებაზე დაყრდნობით ქუთაისელებმა და პირველმაისელებმა კიდევ უფრო დახვეწეს, გააუმჯობესეს და ჩამოაყალიბეს დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის ერთიანი შეუობრი სისტემა, კომპლექსური გახადეს სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების პროცესი ყველა მისი სახეობისა და ფორმის ორგანული ერთიანობის საფუძველზე.

გავიხსენოთ: რუსთაველთა მაგალითისამებრ ქუთაისში შეუდგნენ მუშაობას დისციპლინის სტატისტიკის მოწესრიგებისათვის. სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქალაქო კომისიასთან შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, რომელიც ყოველდღიურ კონტროლს უწევს დისციპლინის მდგომარეობას ქალაქის საწარმოებში. ცენტრალიზებული კონტროლის ეს ახალი ფორმა საშუალებას იძლევა ყოველდღიურად ვიცოდეთ დისციპლინის მდგომარეობა ყველა უბანზე და სასურველი მიმართულებით წარვმართოთ იგი. ამასთან იქმნება იმის დიდი შესაძლებლობაც, რომ თვალთახედვის არეში იყოს ყველა გამოუყენებელი რეზერვი და დროულად ვიზრუნოთ მათი ამოქმედებისათვის.

ბევრი თქმულა და დაწერილა ჩვენი მანქანათმშენებელი საწარმოების კადრების ნაკლებობაზე, რაც გარკვეულწილად აფერხებს ამ დარგის წინსვლას. ცხადია, ამ ხარვეზის შესავსებად რეზერვების ძიებაც მიმდინარეობს. ერთ-ერთ ასეთ რეზერვად საწარმოში სამუშაო ზონის გაფართოებაც ითვლება, და ცალკეულ კოლექტივებში გვხდება კიდეც საყურადღებო ძიების მაგალითები, მაგრამ ეს მხოლოდ ერთეულ ენთუზიასტთა, განსაკუთრებით მაღალი კვალიფიკაციის ოსტატთა ფარგლებს მაინც ვერ გასცდა, რადგან გადასაწყვეტია ერთი მთავარი საქმე (მოსამზადებელია სწორედ ის საფუძველი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ), საწარმოებში ნაწილობრივ გადასაადგილებელია მანქანა-დანადგარები, რომ ნოვატორ ადამიანებს, რომლებიც შრომის ნაყოფიერების ზრდის მოწყობილობის მაქსიმალურად გამოყენების მაგალითებს ამ რთულ პირობებშიც კი გვიჩვენებენ, თავიანთი შესაძლებლობების კიდევ უფრო ფართოდ გამოყენების საშუალება მივცეთ და მათი დახმარებით მრავალჩარხოსნობის მასობრივად გავრცელებას მივაღწიოთ. დღესდღეობით კი მანქანათმშენებლებს, ჩარხმშენებლებს, რომლებიც შედარებით ძველ საწარმოო ბაზაზე შრომობენ, გაფართოებული ზონით მუშაობის გამოცდილებას, შეიძლება ითქვას, ალბათ ისევე ვახვევთ თავს, როგორც ის ოსტატი, წარილის დასაწყისში რომ გაგაცანით. არადა, ჯერჯერობით სწორედ ეს რეზერვია რეალური, სანამ პროგრამული მართვის ჩარხები მასობრივად დაინერგებოდეს...

თბილისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელმაც დიდი ყურადღება დაუთმო უჩამორჩენილებოდ მუშაობას, აღინიშნა, რომ ჩვენში, მართალია, ბევრი რამ კეთდება ამისათვის, მაგრამ პრობლემა, სამწუხაროდ, ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი; და იმ საკითხთა შორის, რომლებმაც უნდა დაიჩქაროს ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრა, ერთ-ერთი მთავარი ადგილი იმ რეზერვების გამოვლენას ეთმობა, რომლებიც უხვად არის ყველა უბანზე.

არსებული რეზერვების ყოველმხრივი, რაც შეიძლება სრული გამოყენების ნიშნით ჩაიარა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ, რომელმაც ყველა კოლექტივს, ყველა მშრომელს მოუწოდა მთაწყობ გამოუყენებელი რეზერვების საყოველთაო საბრძოლო დათვალიერება, თანმიმდევრულად განახორციელონ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების კურსი.

სწორედ ახლახან მოხდა დიდი სიახლეც. თბილისში გაიხსნა სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკური კაბინეტი — თავისებური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც სათავეში ჩაუდგება ამ მიმართულებით, მუშაობას, შრომითი აქტივობის შემდგომი აღმავლობის აქტუალურ პრობლემებს შეიმუშავებს და მოწინავე საწარმოო გამოცდილების შესწავლის, პროპაგანდის, გაზიარებისა და დანერგვის ნამდვილი লაბორატორია გახდება.

შეჯიბრების მოწინავე გამოცდილებას ფართო გამიზნული პროპაგანდა, ღრმა შესწავლა-განზოგადება, კონკრეტული პირობებისათვის შესაფერისი ნათელი რეკომენდაციების შემუშავება სჭირდება, რომ ადგილებზე კარგად ჩასწვდნენ მის აზრს, შეგნებულად აიტაცონ და თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობას რეალურ საფუძვლად დაუდონ. მხოლოდ ამ გზით გახდება გამოცდილება ნამდვილად საყოველთაოსაჯარო, მხოლოდ ამ გზით შეუძლია მას მაქსიმალური ეფექტი მოგვიტანოს.

რ. ჯელიძე.

„საქართველოს კომუნისტი“ № 4

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის **„საქართველოს კომუნისტის“** მორიგი, მეოთხე ნომერი.

წლეულს აპრილის ბოლოს სრულდება პირველი ხუთწლიანი გეგმის 50-ე წლისთავი. ამასთან დაკავშირებით სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება **„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის 50-ე წლისთავის შესახებ“**, რომელიც ჟურნალის ახალ ნომერში იბეჭდება.

„მთავარი და გადამწყვეტი“ — ამ რუბრიკით ჟურნალში გამოქვეყნებულია მდგენინავე წერილი — **მთელი მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის შემდგომი ამაღლება.**

„მრავალი საბრძოლო გმირობა ახსოვს ჯაკობრიობის ისტორიას, მაგრამ შრომითი შემართება ქვეყნის განვითარებისა და პროგრესის გზაზე რომ ისტორიულ ნიშანსვეტად აღმართულიყოს, „ოშვიათია...“ ასე იწყება სარედაქციო წერილი — **ყამირი გატეხილია, გმირობა გრძელდება,** რომელშიც მოთხრობილია ყამირის გმირულ ეპოპეაზე.

პირველი ხუთწლიანი გეგმის 50-ე წლისთავს, მის უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას ეძღვნება **ს. ჩხარტიშვილის** სტატია — დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში. ჟურნალი ბეჭდავს აგრეთვე სხვა მასალებს.

დღევანდელი ჯუნგლებიდან

მოლაპარაკებას კარგი პირი უჩანს

საფრანგეთის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი

პარიზი, 26 აპრილი. (საკადესი). გაზეთი „ფიგარო“ აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის უმაღლესი დონის მოლაპარაკებას, რომელიც მოსკოვში გაიმართება. ყველაფერი იმას მოწმობს, აღნიშნავს გაზეთი, „რომ მოსკოვში საფრანგეთის პრეზიდენტის ახალ ვიზიტს კარგი პირი უჩანს. ეს წარმატებული ვიზიტი იქნება, საფრანგეთი საბჭოთა კავშირისათვის შეიძლება იყოს ისეთი მოსაუბრე, რომლის მოქმედებას ახასიათებს მემკვიდრეობითობა და ბარკვეული პრინციპებისადმი ერთგულება. საფრანგეთისათვის სსრ კავშირთან ურთიერთობა პოლიტიკის მუდმივი და უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

არავითარი სერიოზული პრობლემა არ ჩრდილავს ჩვენს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, წერს გაზეთი.

ექსპანსიონიზმისა და აგრესიის პოლიტიკა

პანოი, 25 აპრილი. (საკადესი). **ჩინეთის მხარე განაგრძობს ჯარების კონცენტრაციას ვიეტნამის საზღვრის მახლობლად და შეიარაღებულ პროვოკაციებს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ.**

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 17 აპრილს ჩინეთის ჯარებმა სროლა აუტეხეს ხატუენის პროვინციის 1678-ე მაღლობს. ამავე დღეს ჩინეთის მხარემ სამხედრო წვრთნა გამართა კაობანგის პროვინციის რაიონში უშუალოდ ვიეტნამის საზღვრის მახლობლად.

19 აპრილს ჩინელმა ჯარისკაცებმა დანაღმეს ცალკეული უბნები ლანგშონის პროვინციაში. გარდა ამისა, ჩინეთის ტერიტორიიდან ნაღმსატყორცნების ცეცხლს უშენნენ ხოანგლიენშონის პროვინციის კოკოიეუსა და კომტანის რაიონებს. სროლის შედეგად დაიღუპა რამდენიმე მშვიდობიანი მცხოვრები, დიდი მატერიალური ზარალი მიადგა ადგილობრივ მოსახლეობას.

კუანგნინის პროვინციაში 20 აპრილს ჩინეთის ჯარებმა დაარღვიეს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარი და ნაღმები დააყენეს ვიეტნამის ტერიტორიაზე საზღვრიდან 130 მეტრის დაშორებით.

22 აპრილს ჩინეთის ჯარების შემოსევის შედეგად კაობანგის პროვინციის ჩალონის მაზრის რაიონში მოკლეს ვიეტნამელი მესაზღვრე.

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს ცნობაში „აღნიშნულია, რომ ჩინეთის ხელისუფალნი გაანარძობენ სამხედრო ნაგებობათა მშენებლობას ვიეტნამის საზღვრის გაყოლებით, აგრეთვე გზავნიან ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯაშუშებს და დივერსანტებს.

ჩინეთის მხარის მთელი ეს მოქმედება, აგრეთვე ვიეტნამის წინააღმდეგ მიმართული ცილისმწამებლური პროპაგანდის გააქტიურება, ხაზს უსვამს სააგენტო, დაძაბულობას ქმნის ორი ქვეყნის სასაზღვრო რაიონებში და მიუნაღ ისახავს მოწამლოს ვიეტნამ-ჩინეთის მოლაპარაკების ატმოსფერო.

პანოი, 25 აპრილი. (საკადესი). გაუთავებელი ტყუილები და ცილისწამება, სხვა ქვეყნების თათხვა — ყოველივე ეს პეკინის მმართველი წრეების ნაცნობი პროპაგანდისტული ხრიკებია, წერს დღეს გაზეთი „ჟუან დინინ ზანი“.

ახლა, აღნიშნავს გაზეთი, პეკინი ვიეტნამს „მცირე, რეგიონულ ჰეგემონისტს“ უწოდებს და აბრალებს, თითქოს ვიეტნამი „ინდოჩინეთის ფედერაციის შექმნას“ ცდილობდეს. პეკინის ამ მონაბოროს ყოველნაირად ავრცელებენ იმპერიალისტური ძალები, მის დამჭაშთა ხროვები და ზოგიერთი ოპორტუნისტი.

მაგრამ კომუნისტებად შენიღბული ჩინელი ექსპანსიონისტები ვერ მალავენ თავიანთ საძრახის ზრახვებს ინდოჩინეთის სხვა ქვეყნების მიმართ. სიტყვით ისინი მეგობრებად ასაღებენ თავს, სინამდვილეში კი ჰეგემონისტურ გეგმებს აწყობენ და ცდილობენ გავლენა მოახდინონ ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის პოლიტიკაზე. სიტყვით ჩინელი ექსპანსიონისტები სოლიდარობასა და მეგობრობას აღიდებენ, სინამდვილეში კი აქტიურ საქმიანობას ეწევიან ამ ქვეყნებს შორის შუღლის ჩამოსაგდებად და მათი ურთიერთობის გასაფუჭებლად.

შეთანხმების მეორე ეტაპის შესახებ

ნიუ-იორკი, 25 აპრილი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი ამერიკის გაზეთის გამომცემელთა ასოციაციის ყრილობაზე გამოსვლისას შეეხო საკითხებს, რომლებიც სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების მომავალ დადებასთან არის დაკავშირებული.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და სსრ კავშირი აღიარებენ მათი შემდგომი არსებობის რეალურ დამოკიდებულებას ერთმანეთის პოზიციებზე, და დასძინა: „ინატომ აქვს ესოდენ დიდი მნიშვნელობა მოლაპარაკებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ორი დიდი ქვეყნის ეს მეცადინეობა უპრეცედენტოა კაცობრიობის ისტორიაში.

სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმების მეორე ეტაპი, თქვა მან შემდეგ, ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს მშვიდობის დამკვიდრებას. საღი აზრი გვიკარნახებს, რომ უნდა ვიღვაწოთ, რათა ჩვენი მეტოქეობა ნაკლებ საშიში გახდეს და დაცხრეს მისი ყველაზე საზარელი მოსალოდნელი შედეგის — ბირთვული ომის საფრთხე.

ამერიკელი ხალხის დიდი უმრავლესობა, თქვა პრეზიდენტმა, ცნობს შეთანხმების მეორე ეტაპის აუცილებლობას. ჩვენი ხალხი ესწრაფვის და მოელის შემდგომ პროგრესს ბირთვული შეიარაღებისადმი კონტროლის დაწესების გზაზე. ჩვენ არ გვინდა „ცივი ომისა“ და ტოტალური გამალებული შეიარაღების აბსოლუტურად უმაქნისი აღორძინება.

ჯ. კარტერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების საკითხში შეერთებულმა შტატებმა საფუძვლიანი კონსულტაციები გამართა თვის მოკავშირეებთან, რომლებსაც „იმედი აქვთ, რომ ჩვენ წარმატებით განვავითარებთ სტაბილურ ურთიერთობას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“. საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, კანადისა და სხვა ქვეყნების ხელმძღვანელებმა, თქვა მან, მხარი დაუჭირეს შეთანხმებას.

26 აპრილი

ანკარა. თურქეთის პარლამენტმა ხმის უმრავლესობით მოიწონა მთავრობის გადაწყვეტილება გაახანგრძლივოს საგანგებო წესები ქვეყნის 30 ვილაიეთში, აგრეთვე შემოიღოს იგი 6 სხვა ვილაიეთში.

საგანგებო წესები თურქეთის მთელ რიგ უდიდეს ვილაიეთებში გამოცხადდა 1978 წლის დეკემბერში დაძაბულ შინაპოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეული იყო ექსტრემისტული ელემენტების მოქმედებით.

კუვეიტი. ეგვიპტის რეუბმი, რომელმაც ხელი მოაწერა სეპარატულ ხელშეკრულებას, ისრაელთან ერთად შეუდგა იმპერიალიზმის უანდარმის როლის შესრულებას ახლო აღმოსავლეთში. როგორც კუვეიტის გაზეთი „ალ-კაბასი“ იუწყება, ეგვიპტის პრეზიდენტმა სადათმა გადაწყვიტა ეგვიპტის ჯარების რიცხვი ომანის სასულთნოში გაადიდოს 15 ათას კაცამდე.

როგორც ცნობილია, მათ შეცვალეს ომანში ირანის ჯარები მას შემდეგ, რაც ირანის ახალმა მთავრობამ უარი თქვა დაეცვა სულთან ქაბუსის ძირმომპალი რეჟიმი საკუთარი ხალხისაგან.

ტოკიო. პარლამენტის ქვედა პალატაში იაპონიის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ხ. ეძირი გამოვიდა უადვოკატო სასამართლოების შემოღების რეაქციული კანონპროექტის წინააღმდეგ. ამ კანონპროექტის დამტკიცებას პარლამენტში ცდილობს მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია. იაპონიის პროგრესული ძალები ხელისუფალთა მისწრაფებას ბრალდებულთა მოუსპონ დაცვის საშუალება მიიჩნევენ მორიგ ნაბიჯად, რომლის მიზანია გააძლიეროს რეპრესიები მშრომელებისა და დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლების მიმართ.

თეირანი. როგორც ირანის საინფორმაციო სააგენტო ფარსი იუწყება, ნავთობის საშუალო ამოღებამ ქვეყანაში უკანასკნელი თვის მანძილზე შეადგინა 3,6 მილიონი ბარელი დღეში, ხოლო მისმა ექსპორტმა — 2,9 მილიონი ბარელი. მარტის შუა რიცხვებიდან ირანის ეროვნულმა ნავთობის კომპანიამ უცხოეთის კომპანიებთან დადო მთელი რიგი კონტრაქტები ნავთობის გაყიდვაზე 9 თვის ვადით. ეროვნული კომპანიის პარტნიორთა სიიდან ამოღებულია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, როდეზიისა და ისრაელის ყველა კომპანია.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ

პარიზი. ეიფელის კოშკი — საფრანგეთის დედაქალაქის სიმბოლო.

საკადესის ფოტოქრონიკა.

სეპარატული გარიგება ქალაში შევიდა

ამერიკის ადრეული შეტყობინების უმ-ხიშვიების ელექტრონული სადგურის ტერიტორიაზე, რომელიც სინის ნახევარკუნძულზე მდებარეობს, ეგვიპტისა და ისრაელის წარმომადგენლებმა გაცვალეს „საზავო“ ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელები. როგორც ცნობილია, სადათმა და ბეგინმა ამ ხელშეკრულებას 26 მარტს მოაწერეს ხელი ვაშინგტონში. ამრიგად, შეერთებული შტატების პატრონაჟით დადებული ანტიარაბული სეპარატული გარიგება ოფიციალურად შევიდა ძალაში.

ეგვიპტე-ისრაელის სეპარატულმა ხელშეკრულებამ მშვიდობა ვერ მოუტანა ახლო აღმოსავლეთს. პირიქით, როგორც აღნიშნავს პარიზის გაზეთი „ეკო“, რეგიონში დაძაბულობა სულ უფრო ძლიერდება.

ეგვიპტისა და ისრაელის მოქმედებას სრული გაგებით ეკიდებიან შეერთებულ შტატებში. ახლა ვაშინგტონი ემზადება აქტიური მონაწილეობა მიიღოს ეგვიპტე-ისრაელის სეპარატული ხელშეკრულების დებულებათა პრაქტიკულ შესრულებაში. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა თავისი სპეციალური წარმომადგენელი რ. სტრაუსი დანიშნა საგანგებო დავალებათა დესპანად, რათა მონაწილეობა მიიღოს კაიროსა და ტელ-ავივის მომავალ მოლაპარაკებაში იორდანის დასავლეთ ნაპირზე და ღაზაში ეგრეთ წოდებული „ადმინისტრაციული ავტონომიის“ რეჟიმის დამყარების შესახებ. ასე რომ, სეპარატული გარიგების რეალიზაციაც ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო მეთვალყურეობით წარმართება. (საკადესი).

XXI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ: ᲭᲐᲠᲑᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲗᲣ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲝᲑᲐ?!

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲗᲗᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲔᲑᲘ

განვითარებულ ქვეყნებში შობადობის არნახული შემცირება მთავრობათა შეშფოთებას იწვევს იმის გამო, რომ მოსახლეობა საკმაოდ არ მრავლდება და „საზოგადოება ბერდება“ (კლებულობს ახალგაზრდობის წილი). ამაზე გიმართა სჯა-ბაასი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის საკითხთა კომისიის ამასწინანდელ სხდომაზე, როცა განიხილავდნენ მოხსენებას, რომელიც მსოფლიო სტატისტიკის უახლეს მონაცემებს შეიცავდა.

ეტყობა, თანდათანობით მართლდება ძველისძველი პროგნოზი, რომელიც ოდესღაც სეპტიკურ ღიმილს გვგვრიდა: მსოფლიოში მოსახლეობის შემცირება, მუშაკთა ნაკლებობა უფროა მოსალოდნელი და შეიძლება სერიოზული პრობლემა გახდეს. ასე წერდა წიგნში „მომავლის კონტურები“ (მოსკოვი, 1965 წელი) ერთ-ერთი წამყვანი საბჭოთა პროგნოზისტი იგორ ბესტუჟევ-ლადა, სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის მომავლის შემსწავლელი კომიტეტის თანაპრეზიდენტი.

შეიძლებოდა კაცს ეს მოჩვენებოდა გულუბრყვილო შეკამთებად ბევრ დასავლელ ავტორიტეტიან სპეციალისტთან, რომლებიც ამტკიცებდნენ: ერთადერთი ნამდვილად სერიოზული პრობლემა, რომელიც კაცობრიობის წინაშე დგება, ჭარბმოსახლეობაა.

მაგრამ რას ვხედავთ დღეს?

უკანასკნელი 15 წლის დემოგრაფიული სტუბაციის ნელმა, მაგრამ განუხრელმა ცვლილებებმა დაგვაზუსტებინა მისი შეფასება, ნათქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის აღნიშნულ მოხსენებაში. არც ისე დიდი ხნის წინათ ეგონათ, თითქოს მოსახლეობის ზრდა, რომელიც მკვეთრად დაჩქარდა XX საუკუნეში, უახლოეს წლებში კიდევ უფრო სწრაფი იქნებოდა. ახლა სხვაგვარად ფიქრობენ: ტემპის მაქსიმუმი უკვე წინ კი არა, უკან არის და პერსპექტივაში მას შემდგომი შენელება მოელის. გავლენას ახდენს შობადობის შესამჩნევი დაქვეითება: განვითარებულ ქვეყნებში — 50-იან წლებიდან, განვითარებადში — 60-იანი წლებიდან.

ტენდენცია სტაბილური და ლობალურია, იგი ახასიათებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანას, მათ შორის ისეთ ხალხმრავალ სახელმწიფოებს, როგორიც არის ჩინეთი (950 მილიონი მცხოვრები) ან ინდოეთი (630 მილიონი). და სულ უფრო აშკარა ხდება „დემოგრაფიული ბომბით“ სპეკულაციის უსაფუძვლობა.

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ასე ვარაუდობდნენ: შობადობა მიღწეული მაქსიმუმის დონეზეც რომ დარჩეს (იმ პირობით, თუ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 75 წლამდე გაიზრდება), ინდოეთში 2070 წლისათვის იცხოვრებდა 25 მილიარდზე მეტი კაცი, ჩინეთში — 21 მილიარდამდე, ბანგლადეშში — თითქმის 4 მილიარდი, ბრაზილიაში — 3,5 მილიარდზე მეტი. მაგრამ ასეთი ექსტრაპოლაციას უგულებელყოფს ყველა სერიოზული პროგნოზისტი — საბჭოელიც და უცხოელიც. აი ობიექტური შეფასებანი 2050 წლისათვის: ჩინეთი — 1270 მილიონი მცხოვრები, ინდოეთი — 1002 მილიონი, ბრაზილია — 192 მილიონი, ბანგლადეში — 155 მილიონი, ნიგერია — 135 მილიონი, სსრ კავშირი — 335 მილიონი. კი, მაგრამ, მერე რაღა იქნება?

პროფესორმ

წერილი რედაქციას

საშურ საქმეზე გვესახება

მიმდინარე წლის შემოდგომაზე ქართველი ხალხი, საბჭოთა მეცნიერება ზეიმით აღნიშნავს აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დაბადების მეასე წლისთავს. მოფიქრებულია საინტერესო და საჭირო ღონისძიებები, რომლებიც ამ ზეიმს დაამშვენებს. ვფიქრობთ, რომ საამისოდ კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმაც გვმართებს — დიდი მეცნიერის მშობლიურ სოფელ ტობანიერში (ვანის რაიონი) სახლ-მუზეუმის გახსნა. ეროვნული კულტურის დღევანდელი დონე, პარტიისა და მთავრობის განუხრელი ზრუნვა მეცნიერების წინსვლისათვის დღის წესრიგში აყენებს ამ საკითხს (უკვე გვაქვს ივ. ჯავახიშვილის, ნ. მუსხელიშვილის, გ. ნერეთლის მემორიალები).

სასიხარულოა, რომ ასევე ფიქრობენ ვანის რაიონის დღევანდელი მესვეურები, სოფელ ტობანიერის მშრომელები. ტობანიერის საშუალო სკოლაში, რომელიც მეცნიერის სახელობისაა, უკვე არსებობს კ. კეკელიძის კაბინეტი, მაგრამ მისი შესაძლებლობები ერთობ მოკრძალებულია და მემორიალის როლს იგი, რა თქმა უნდა, ვერ იტვირთავს იქ, სადაც კ. კეკელიძის ბიოგრაფიასთან უშუალოდ დაკავშირებული ეზო და სახლია.

კორნელი კეკელიძის მამას, სამსონს, და მის ძმას, ასლანს, გაუყოფელი ოჯახი ჰქონიათ ტობანიერის ყველაზე მაღალ და ლამაზ უბანში, კინწოლას მთის ფერდობზე. ამ მამაპაპურ კერაზე დაბადებულა დიდი მეცნიერი 1879 წლის 18 (30) აპრილს. ეს კარმიდამო ოდინდელი იერით გამოიყურება დღესაც. ხოლო შემდგომ სამსონ კეკელიძეს საკუთარი ხელით ახალი სახლი გაუმართავს, რომელიც ახლა დაშლილ-დაწყობილი, მაგრამ კარგად მოვლილი, ინახება იქვე, სოფ. მუქეთში გ. ხუციშვილთან. ეს სახლი, რომელშიც კ. კეკელიძეს ყრმობა გაუტარებია, სასურველია გადავიტანოთ და აღვადგინოთ მამაპაპური იერით დამშვენებულ იმ ეზოში, სადაც მეცნიერი დაიბადა და ფეხი აიდგა.

პარტიის ვანის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ანდრიაძემ და რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ი. დვალიშვილმა განაცხადეს, რომ ყველაფერს იღონებენ დიდი თანამემამულის ხსოვნის უკვდავსაყოფად. მათ ყოველმხრივ დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ.

ტობანიერში კორნელი კეკელიძის სახლ-მუზეუმის გახსნა საშურ საქმედ გვესახება. ეს სახლ-მუზეუმი დიდი მეცნიერის მემორიალის როლსაც შეასრულებს და ჩვენი ეპოქის მაღალ კულტურულ შეგნებაზეც იღაღადებს.

ა. ბარამიძე, ლ. მენაგაძე, ე. მეტრეველი, ე. ხინთიბიძე, გ. ფარულავა, მ. ქავთარია, შ. ონიანი, რ. სირაძე.

●●

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში

კონკურსი საუკეთესო ნარკვევისათვის

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა გამოაცხადა კონკურსი პარტიულ თემაზე დაწერილი საუკეთესო ნარკვევისათვის.

კონკურსი ღია იქნება. ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული, ტელევიზიითა და რადიოთი გადაცემული მასალებიდან შეირჩევა საუკეთესო.

კონკურსზე მასალების წარმოდგენის პირველი ტური იწყება იმ რედაქციაში, რომელმაც გამოაქვეყნა სტატია ან რადიოთი და ტელევიზიით გადასცა იგი. ჟურნალისტთა პირველადი ორგანიზაციის შესაბამისი დასკვნითი მასალა განსახილველად გაეგზავნება საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირს.

კონკურსის შედეგები შეჯამდება 15 დეკემბრისათვის და პრესაში გამოქვეყნდება 31 დეკემბრამდე.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია სამი პრემია და საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის სიგელები.

* * *

კონკურსი გამოცხადდა აგრეთვე მეათე ხუთწლედის მშენებლობათა ადამიანებისადმი მიძღვნილი საუკეთესო ნარკვევისათვის.

კონკურსი ღიაა. ქიური საუკეთესო ნარკვევებს შეარჩევს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული, რადიოთი ან ტელევიზიით გადაცემული მასალებიდან.

კონკურსის პირველი ტური იწყება რედაქციაში, რომელმაც გამოაქვეყნა ან რადიოთი და ტელევიზიით გადასცა მასალა, შემდეგ კი იგი გადაეგზავნება ჟურნალისტთა კავშირს.

კონკურსის შედეგები შეჯამდება 15 დეკემბრამდე და პრესაში გამოქვეყნდება 31 დეკემბრამდე.

კონკურსის გამარჯვებულთათვის სამი პრემია და საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელები.



შეხვედრა. ბ. კეკელიძის ფოტო.

სადღესასწაულო ვაჭრობისათვის განსაკუთრებით მოემზადნენ საქართველოს ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, რძისა და ხორცის მრეწველობის, აგრეთვე სხვა სამინისტროებისა და ორგანიზაციების მუშაკები.

— წელს სადღესასწაულო ვაჭრობა სამ ეტაპად მიმდინარეობდა, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ **ელზა გუგუშვილმა**, — პირველი ეტაპი ეს იყო აპრილის დასაწყისიდან 16 რიცხვამდე, შემდეგი პერიოდი უკვე ლენინურ შაბათობას მიეძღვნა და 21 აპრილამდე გაგრძელდა. 23 აპრილიდან კი დაიწყო საპრეზიდიუმო სადღესასწაულო ვაჭრობა.

სადღესასწაულო ვაჭრობა

ლენინის სუფრას შეემატოს

ყოველდღიურად საჭირო ორგანიზაციები გადიდებული რაოდენობით იღებენ ფართო ასორტიმენტის საქონელს, მაგალითად, 180 ტონა ხორცს, 80 ტონა ფრინველს, 50 ტონა ძეხვეულს, 250 ტონა ხორბლის ფქვილს, მილიონ 200 ათას ცალ კვერცხს, აგრეთვე გაზრდილი რაოდენობიერ რძის პროდუქტებს, უალკოჰოლო სასმელებს. აგრეთვე ღვინოს, შამპანურს, საკონდიტრო ნაწარმს და სხვას.

ქალაქის მსხვილ სავაჭრო დაწესებულებებში მოეწყობა ნახევარფაბრიკატებისა და კულინარიული ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა.

28, 29, 30 აპრილს სავაჭრო დაწესებულებები გახანგრძლივებული გრაფიკით, 23 საათამდე იმუშავებენ, საკოლმეურნეო ბაზრები 20 საათამდე.

სადღესასწაულო ვაჭრობა მიმდინარეობს აგრეთვე რუსთავში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ჟუთაისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

ფართოდ გაიშლება სადღესასწაულო ვაჭრობა სოფლად.

სარაიონთაშორისო საბითუმო ბაზების, საწყობების, მაცივრების, საწარმოებისა და ტრანსპორტის მუშაობა ისეა დაგეგმილი, რომ უზრუნველყონ სოფლის მაღაზიების შეუფერხებელი მომარაგება სუფრასათვის და სამრეწველო საქონლით. ყველა სავაჭრო ცენტრში გახსნილია პროდუქტების შინ მიტანის შეკვეთების მაგიდები.

სოფლის რესტორნებში ეწყობა პირველი მაისისადმი მიძღვნილი საოჯახო და ამხანაგური საღამოები.

მუდმივად მოქმედი ზონალური ბაზრობების ტერიტორიაზე სამომხმარებლო კოოპერაცია მყიდველებს სთავაზობს ოთხ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ფართო ასორტიმენტის სამრეწველო საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციას.

კოოპერატორებმა იზრუნეს ყველაზე ნორჩი მოქალაქეებისათვისაც.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲐ

სსრ კავშირის ნაკრები მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი

მოსკოვში გაიმართა ჰოკეისტთა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატის უკანასკნელისწინა ტურის შეხვედრები. სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა კანადის გუნდი ანგარიშით 9:2 და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობა ვადაზე ადრე გაინაღდა. ჩეხოსლოვაკიელებმა მოუგეს შვედებს — 6:3. ბოლო ტურის წინ გთამაშების ცხრილში მდგომარეობა ასეთია:

	მ	ფ	წ	შ	ქ
სსრ კავშირი	5	0	0	45-11	10
ჩეხოსლოვაკია	3	1	1	24-24	7
შვეცია	1	1	3	17-32	3
კანადა	0	0	5	14-33	0

ამრიგად, ერთი ტურით ადრე ყველა ადგილი განაწილდა. საქმე ის არის, რომ დარჩენილი მატჩების მოულოდნელი შედეგებიც კი გუნდების საბურნირო მდგომარეობას ვერ შეცვლის.

დაიწყო მეექვსე ტური

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეექვსე ტურის პირველი მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: „ზენიტი“-ასკ (როსტოვი) — 2:2, „ტორპედო“-„დინამო“ (მინსკი) — 1:2.

დღეს ტურის ექვსი შეხვედრა მოეწყობა. ერთმანეთს ხვდებიან: „აყირათი“-„ჩერნომორეცი“, „ფახთაქორი“-ცსკა, „არარატი“-„სპარტაკი“, „შახტიორი“-„ნეფტჩი“, „ლოკომოტივი“-„დინამო“ (კიევი), „დინამო“ (თბილისი)-„ზარია“. ხვალ ტურის ბოლო შეხვედრას გამართავენ მოსკოვის „დინამო“ და „ერილია სოვეტოვი“.

თბილისის „დინამო“ და „ზარია“ საკავშირო ჩემპიონატებში 24-ჯერ შეხვდნენ. აქედან თბილისელებმა 12 მატჩი მოიგეს, 9 შეხვედრა ფრედ დაამთავრეს და 3 წააგეს. ბურთების შეფარდება 38:21 დინამოელთა სასარგებლოდ.

დუბლიორთა გუშინდელ მატჩში გაიმარჯვეს თბილისელებმა — 2:0. ორივე ბურთი გაიტანა კაკილაშვილმა.

დასკვნითი ეტაპი

კაუნასში გრძელდება უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითი ეტაპის მატჩები. ტურნირის მეორე დღის შედეგები ასეთია: ცსკა-ასკ (მინსკი) — 31:20, საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი)-„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — 37:26, ფიზკულტურის ინსტიტუტი (კრასნოდარი)-„ცელტნიეკსი“ (რიგა) — 30:27, ასკ (ლვოვი)-ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — 23:23, „გრანიტასი“ (კაუნასი)-„ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე)—29:23, „კუნცევო“ (მოსკოვი)-ასკ (კიევი) — 21:23.

ჭადრაკის დაფებთან

მონრეალში — დიდოსტატთა ტურნირის მეთერთმეტე ტურში კარპოვმა დაამარცხა ტიმანი. კარპოვი ახლა 7,5 ქულით და 1 გადადებული პარტიით ლიდერობს შეჯიბრებას. ტალს 7 ქულა (1) აქვს.

დორტმუნდში დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში თავი ისახელა თამაზ გიორგაძემ. 11 პარტიიდან მან 6 მოიგო, 5 ფრედ დაამთავრა, 8,5 ქულა დააგროვა და პირველობა მოიპოვა.

სპარტაკიადიდან ოლიმპიადამდე

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ ᲫᲜᲔᲚᲘ ᲑᲠᲝᲚᲐ ᲛᲝᲔᲚᲘᲗ

ᲣᲕᲔᲚᲐ დიდი შეჯიბრება, ჩვიულებრივ, კენჭისყრით იწყება. კალათბურთელებისთვისაც საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა ამ რამდენიმე თვის წინათ სწორედ კენჭისყრით დაიწყო და მაშინვე გახდა ცნობილი, თუ ვის რა შანსი აქვს მომავალ ბრძოლებში.

საქართველოს კალათბურთელ ქალთა გუნდი კენჭისყრამ პირველ შესარჩევ ჯგუფში მოახვედრა. ჯგუფში, სადაც სამი საკმაოდ ძლიერი და ავტორიტეტული მეტოქე — უკრაინა, მოსკოვი, ბელორუსია შევიდა, საქართველოს კოლექტივს მეტად ძნელი ბრძოლა გადახდება.

იმ დღეს სპარტაკიადის მთავარ მსაჯთა კოლეგიის სხდომაზე საბოლოოდ გამოიკვეთა ჩვენი გუნდის პერსპექტივები. გამოიკვეთა ის გზაც, რომელსაც უნდა დაადგნენ მწვრთნელები დარჩენილ პერიოდში და ის კონკრეტული ამოცანები, რომლებიც კოლექტივმა უნდა გადაწყვიტოს უშუალოდ შეჯიბრების დღეებში.

უარესი კენჭისყრა არ არსებობდა. მოსკოვისა და უკრაინის გუნდებთან ჯიდილი, გულახდილად უნდა ვაღიაროთ, ძალიან გაჭირდება, მაგრამ როგორც იტყვიან, ფარხმალი არ უნდა დაეყაროთ.

კალათბურთის პრობლემებზე საუბარი უსასრულოდ შეიძლება. მით უმეტეს, რომ ჩვენი კალათბურთისათვის დამამახასიათებელი წინააღმდეგობანი და კონფლიქტური სიტუაციები. მაგრამ დღეს, რა დასამალია, — ფართო აუდიტორიას პრაქტიკული საკითხები უფრო აინტერესებს, ასე ვთქვათ, წმინდა საკალათბურთო ქეშმარიტებანი უკანასკნელ ინსტანციაში. ამისთვის სპორტის მოყვარულთ ვერ გავამტყუნებთ. სპარტაკიადას ანგარიში, ქულებით და ადგილებით მანიპულაცია უყვარს. პრობლემებზე საუბრის დრო უსათუოდ მოვა, ოღონდ მას შემდეგ, რაც სასპარტაკიადო ვნებათა ღელვანი დაცხრება.

კენჭისყრამ ბევრად უფრო ნათელ ფერებში დაგვიხატა ვაჟთა გუნდის პერსპექტივები. ყაზახეთი, უზბეკეთი, ესტონეთი — ეს გუნდები, რა თქმა უნდა, თავგანწირვით იბრძოლებენ ყოველი ქულისათვის, მაგრამ ობიექტურად ხელი ვერ უნდა შეგვიშლონ მიზნის განხორციელებაში.

გაცილებით უფრო რთული იქნება გზის გაკვალვა მომდევნო ეტაპზე. აქ ჩვენს ტრადიციულ მეტოქეებს უკვე აქვთ უპირატესობა ავანსის სახით. თავად განსაჯეთ: მოსკოვი აერთიანებს უმაღლესი ლიგის ორ მოწინავე კოლექტივს — ცსკასა და „დინამოს“, რომელთაგან თითოეულს შესწევს საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის უნარი. იგივე მდგომარეობაა უკრაინის, ლატვიის, ლიტვის გუნდებში. ამასთან არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კალათბურთელთა სასპარტაკიადო ტურნირი ლეონ ორი წლის მანძილზე თბილისის „დინამო“ საერთო ფიზიკური მომზადების მხრივ ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იყო უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ახლა ეს ნაკლი გამოსწორებულია (მწვრთნელი — საერთო ფიზიკურ მომზადებაში — ი. დიაჩკოვი).

ნაკრების ხელმძღვანელობამ ბევრი რამ იღონა სასპარტაკიადო მზადების პერიოდში. ეს ვარჯიშის ხარისხსაც დაეტყო და ინტენსიურობასაც. საგრძნობლად ამაღლდა მომთხოვნელობა გუნდის მიმართ. განმტკიცდა კონტროლი, მოთამაშეთა თვითშეგნება, პასუხისმგებლობა. ერთი სიტყვით, მართლაც ბევრი რამ გაკეთდა სასარგებლო და ბევრიც კეთდება, მაგრამ...

ორი მომენტი მაინც სერიოზულად გვაფიქრებს.

პირველი და მთავარი — ეს არის მოთამაშეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა. იანვარში გუნდის ერთ-ერთი ტანმაღალი ცენტრალური თავდამსმელი რ. გარუჩავა მძიმედ დაშავდა. დღესდღეობით იგი ოპერაციის შემდგომ მკურნალობის ციკლს გადის და, ცხადია, ნაკრების შემადგენლობაში არ არიცხება. შარშან ოქტომბერში ხერხემალი დაიზიანა მ. ქორქიამ. ერთხანს მან განაახლა ვარჯიშები, წლევანდელი ჩემპიონატის ბოლო ტურში კი ითამაშა კიდეც, მაგრამ ტრავმამ გაუხსენა. სპეციალისტებს საეჭვოდ მიაჩნიათ უახლოეს მომავალში მისი სარბიელზე გამოსვლა. ეს დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება ჩვენი გუნდისთვის. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ვარჯიში ი. პულავსკიმ, გ. ბიჭიაშვილი კი ტრავმის გამო მთელი ძალით დიდხანს ვერ იტვირთავდა თავს.

შემადგენლობის სტაბილიზაცია — აი რა არის, ჩვენი აზრით, ძირითადი ამოცანა ამჟამად. ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია, თუ მკვეთრად გაუმჯობესდება სპორტსმენთა ჯანმრთელობისადმი კონტროლი მედიცინის ყველა თანამედროვე საშუალების გამოყენებით.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს მეორე მომენტსაც, რომელიც დაკავშირებულია საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში საქართველოს კალათბურთელთა გაწვევასთან. ცნობილია, რომ ნ. დერიუგინი ხეზონის მეტ ნაწილს საბჭოთა კავშირის მთავარი გუნდის შემადგენლობაში ატარებს. ამის გამო იგი ხშირად ამოვარდნილია „დინამოს“ მზადების საერთო გეგმიდან.

ამ დღეებში საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში გაიწვევენ ზ. გრიგოლიძესა და შ. სინჯარაძეს. ეს გუნდი, რომელიც მსოფლიო პირველობისათვის ემზადება, ალბათ სპარტაკიადაში მიიღებს მონაწილეობას, როგორც დამოუკიდებელი ერთეული. თუ ეს მოხდა, ცხადია, ეერც ერთი მათგანი ვერ ითამაშებს რესპუბლიკის ნაკრებში. ახლა იმასაც ამბობენ, რომ ახალგაზრდულმა ნაკრებმა შესაძლოა კიდევ ორი თბილისელი კალათბურთელი გაიწვიოსო (კ. ლომიძე და ვ. ძიძიგური). ვერაფერი სახარბიელო პერსპექტივაა.

სპარტაკიადის სტარტებამდე დრო ჯერ კიდევ არის, და იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი გუნდი ასე თუ ისე გადალახავს სიძნელეებს. კალათბურთის მწვრთნელები პრაქტიკული ხალხია და სიტყვებს ჰაერში ტყუილუბრალოდ არ ფანტავენ. არც უსაფუძვლო დაპირებები იციან. ამიტომ, რაკი ხუთეულში მოხვედრა განიზრახეს, უნდა ვერწმუნოთ კიდეც მათ. მაგრამ ერთი რამ ცხადია: ვერაფერი დაპირება ვერ უშველის საქმეს, თუ გუნდმა მთავარი სტარტებისთვის შემადგენლობის შენარჩუნება ვერ მოახერხა.

ნ. გუგუშვილი.

ᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲚᲓᲘᲜᲘᲗᲘ. Ა. ᲡᲐᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲐᲠᲥᲘᲕᲐᲠᲘᲣᲡᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ

კალათბურთელთა შედეგები

II სპარტაკიადა (1959 წელი) — II ადგილი. გუნდის შემადგენლობა: გურამ აბაშიძე, ლევან მოსეშვილი, გურამ მინაშვილი, ილარიონ ხაზარაძე, რევაზ გოგელია, ვალერიან ალთაბაევი, ლევან ინწკირველი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ალექსანდრე კილაძე, ანზორ ლეჟავა, თამაზ კაკაურიძე.

III სპარტაკიადა (1975 წელი) — III ადგილი. გუნდის შემადგენლობა: იური ძიძიგური, ლევან ჩხიკვაძე, ზურაბ ფიცხელაური, გივი ბიჭიაშვილი, თენგიზ ფიცხელაური, თეიმურაზ ჩიხლაძე, ბორის ბოლქვაძე, ვალერი ჯგერენაია, მიხეილ ქორქია, ზურაბ ქარაბაქი, იური პულავსკი, იგორ ნარომანიძე.

საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა I სპარტაკიადაში (1956 წელი) IX ადგილი დაიკავა, III სპარტაკიადაში (1963 წელი) — VII, IV სპარტაკიადაში (1967 წელი) — VII, V სპარტაკიადაში (1971 წელი) — IV. ქალთა გუნდებმა I-VI სპარტაკიადებში შესაბამისად ასეთი ადგილები დაიკავეს: V, V, XIII, X, VI და XIII.

XV ოლიმპიადა (ჰელსინკი, 1952 წელი). სსრ კავშირის ნაკრებმა დაიკავა II ადგილი. გუნდის შემადგენლობაში სხვებთან ერთად ითამაშებდნენ ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია.

XVII ოლიმპიადა (რომი, 1960 წელი). სსრ კავშირის ნაკრები — II ადგილი. გუნდის შემადგენლობაში სხვებთან ერთად იყვნენ გურამ მინაშვილი და ვლადიმერ უგრეხელიძე.

XVIII ოლიმპიადა (ტოკიო, 1964 წელი). სსრ კავშირის ნაკრები — II ადგილი. გუნდის შემადგენლობაში სხვებთან ერთად იყო ლევან მოსეშვილი.

XIX ოლიმპიადა (მეხიკო, 1968 წელი). სსრ კავშირის ნაკრები — III ადგილი. გუნდის შემადგენლობაში სხვებთან ერთად იყვნენ ზურაბ საკანდელიძე და სერგი კოვალენკო.

XX ოლიმპიადა (მიუნხენი, 1972 წელი). სსრ კავშირის ნაკრები — I ადგილი. გუნდის შემადგენლობაში სხვებთან ერთად იყვნენ ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია.

XXI ოლიმპიადა (მონრეალი, 1976 წელი). სსრ კავშირის ნაკრები — III ადგილი. გუნდის შემადგენლობაში სხვებთან ერთად იყო მიხეილ ქორქია.

1936 წლიდან...

1934 წელს სენტ-ლუისში, 1924 წელს — პარიზში და 1928 წელს — ამსტერდამში მოიწყო კალათბურთელთა საჩვენებელი გამოსვლები. 1936 წლიდან კი, მას შემდეგ, რაც კალათბურთის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციამ (ფიბა, დაარსდა 1932 წელს) თამაშის ერთიანი წესები დაამტკიცა, კალათბურთი ყველა ოლიმპიადის პროგრამაშია.

XXI ოლიმპიადაში (მონრეალი) იასპარეზეს ქალთა გუნდებმაც. მოსკოვის ოლიმპიადის პროგრამაშიც არის შეტანილი ოდორც ვაჟთა, ისე ქალთა გუნდების გამოსვლა.

ნაკრები საბერძნეთში

თადარიგს იჭერენ

სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები ამთავითვე ემზადება მოსკოვის ოლიმპიადისათვის და დროდადრო საერთაშორისო მატჩებს ატარებს. ამჯერად საბჭოთა სპორტსმენები საბერძნეთს ესტუმრნენ. საბჭოთა და ბერძენმა კალათბურთელებმა პირველი შეხვედრა ათენში „პანათინაიკოსის“ სტადიონზე გამართეს. გიმიარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 84:79 (45:37). მატჩი ჩვენი კალათბურთელებისათვის უჩვეულო პირობებში ჩატარდა: ღია და ასფალტირებულ მოედანზე. მიტოქიები კიდევ 2 შეხვედრას გამართავენ — 27 აპრილს სალონიკში და 28 აპრილს აარსში.

მკითხველის რეპლიკა

ᲕᲠᲔᲙᲔ, ᲕᲠᲔᲙᲔ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲕᲠᲩᲔᲑᲐ

ᲒᲘᲪᲓᲘᲐᲗ როდისმე ტელეფონით გაგიგოთ თბილისის რომელ კინოთეატრში უჩვენებენ თქვენთვის სასურველ ფილმს, ან როდის იწყება სეანსები?

სინჯეთ და დაგვიჯერებთ, რომ ამის გაგება თურმე არც ისე ადვილი საქმე ყოფილა, ამაში ჩვენ ერთხელ კიდევ მაშინ დავრწმუნდით, როცა ამას წინათ ერთ-ერთი ფილმის ნახვა გადავწყვიტეთ. დავრეკეთ ერთგან, არ ვუჩვენებთო, მეორეგან, არ ვუჩვენებთო...

იძულებული გავხდით რამდენიმე კინოთეატრის ადმინისტრატორი შეგვეწუხებინა (თუმცა, ვინ ვის აწუხებდა, ეს კიდევ საკითხავია). მე შენ გეტყვი და, ისინიც სულ ერთ ადგილას სხედან და მხოლოდ იმის მოლოდინში არიან, არიქა, როგორმე დავაკმაყოფილოთ კინომოყვარულთა ცნობისმოყვარეობაო. როგორ არა! ან ყურმილია გადადებული, ან რამდენიც უნდა იწკარიალოს ზარმა, ახლოს არავინ მიეკარება.

ასე ვრეკეთ იმ დღეს საღამოს ექვსის ნახევრიდან გამუდმებით ერთ საათს კინოთეატრ „რუსთაველში“ 99-76-05. მაგრამ ვერაფერს გავხდით, ყურმილში ხან ერთთავად წყვეტილი სიგნალები ისმოდა, ხან სულ გაბმული. შემდეგ სხვაგან, კინოთეატრ „ამირანში“ მოვინდომეთ დარეკვა, მას ადგილის გამოცვლასთან ერთად, ტელეფონების ნომრებიც შეეცვალა, გავიგეთ ნომერი (36-57-97). არც ამან გვიშველა, ვერა და ვერ ვეღირსეთ დაკავშირებას.

ერთი იმედი კიდევ რჩებოდა — ტელეფონის ცნობარში მითითებული კინოთეატრების „რუსთაველისა“ და „ოქტომბრის“ ავტომატური მოპასუხის ნომრები — წყალწყალებულივით იმას ჩავეჭიდეთ, მაგრამ ამაოდ დავშვერით. არც ერთი მათგანი აღარ ასრულებდა თავის დანიშნულებას.

იმედგაცრუებულმა და ნირწამხდარმა დავყარეთ ფარ-ხმალი. ამდენი აურზაურის შემდეგ კინოსურათის ნახვის მარტო იმედი კი არა, ხალისი და სურვილიც დაკარგეთ.

ამიტომ, ხომ არ აჯობებდა, რომ სარკინიგზო, ავტოსატრანსპორტო, საავიაციო თუ სხვა ცნობათა ბიუროების მსგავსად კინოს საცნობარო საქალაქო სამსახურის შექმნა?

არც ის იქნებოდა ურიგო და კინომოყვარულთა მომსახურება უთუოდ გაუმჯობესდებოდა, რომ ბილეთები წინასწარ იყიდებოდეს კინოთეატრებში (ახლა მხოლოდ, „რუსთაველში“ ხდება ასე), ან მათი რეალიზაცია ცენტრალური თეატრალური სალაროების მსგავსად მოეწყოს.

ს. ᲥᲐᲜᲓᲐᲠᲔᲚᲘ.

●●

სპეკულანტი... ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ რაიონულ ბიბლიოთეკაში ბევრი მკითხველი იყრის ხოლმე თავს. ასე იყო იმ დღესაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ყველანი — თანამშრომლები თუ მომსვლელები ზუგდიდელ ინეზა ქარდავას გარს შემოხვეოდნენ და გულდასმით ირჩევდნენ... სასპეკულაციოდ ჩამოტანილ ქალის იმპორტულ პერანგებს. უჩვეულო „მკითხველმა“ თერმოტემპანეთან პერანგს თავისი ფასი — 25 მანეთი დაადო და ალბათ მალე ვაჭრობაც გახურდებოდა, „კოვნი ნაცარი რომ არ ჩავარდნოდა“ — თავს მილიციის მუშაკები წაადგნენ...

ვინ არის ი. ქარდავა? როგორც გამოირკვა, იგი ენგურის ქაღალდის კომბინატის სამუსიკო სკოლის მასწავლებლად მუშაობდა, და რაოდენ აღმაშფოთებელია, რომ ესოდენ კეთილშობილური პროფესიის მქონე ახალგაზრდა ქალმა ფულის შოვნის ყოვლად ბინძური წყარო გამონახა.

სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ ხანს გადამყიდველებმა ახალი გზა გამონახეს — სასპეკულაციოდ საქონლის დაწესებულებებში მიტანა. არის შემთხვევები, როცა ისინი ბინაზეც კი აკითხავენ „კლიენტებს“. მათ წინააღმდეგ მეტი აქტიური ბრძოლა, რაიონის ყველა მშრომელის მეტი სიფხიზლეა საჭირო, რათა ჩვენი შრომითი დანაზოგები მუქთად არ უვარდებოდეთ ხელში ცხოვრების პარაზიტებს.

ბ. ᲒᲣᲚᲣᲐ.

Ბ. ᲩᲮᲔᲘᲫᲔ

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი ბორის ივანეს ძე **ჩხეიძე.**

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა თვალსაჩინო შემოქმედი, რომლის ცხოვრების უმთავრესი მიზანი ქართული სიტყვის, ქართული მწერლობის გულალალი და ერთგული სამსახური იყო.

ბორის ჩხეიძე დაიბადა 1902 წლის 30 დეკემბერს ჭიათურის რაიონის სოფელ ქვედა გეზრულში. პირველდაწყებითი განათლება ჩხირაულის თემის სკოლაში მიიღო, 1921 წელს კი გორის პედაგოგიური ტექნიკუმი დაამთავრა.

სხვადასხვა დროს ბორის ჩხეიძე მუშაობდა ლაგოდეხის რაიონის სოფელ თამარიანის დაწყებითი სკოლის პედაგოგად, კომკავშირის გურჯაანის რაიკომის მდივნად, სახელმწიფო გამომცემლობის რედაქტორად, განათლების სახელმწიფო კომისარიატის ლიტერატურულ მუშაკად. არჩეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის სარევიზიო კომისიის წევრად, პროზაიკოსთა სექციის ბიუროს მდივნად.

ბორის ჩხეიძემ ლიტერატურული მუშაობა დაიწყო 1928 წლიდან, როდესაც ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში“ დაბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „დღეები“. მას შემდეგ მისი ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდებოდა ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად. ბორის ჩხეიძის მოთხრობები, რომანები: „ლიახვის პირას“, „დღეები“, „ფერო“, „მწვანე ხოდაბუნი“ მოიწონა ქართველმა მკითხველმა.

ნაყოფიერად მუშაობდა ბორის ჩხეიძე მხატვრული ნარკვევის ჟანრში. ჩვენს პერიოდულ პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა მისი ნარკვევები ხუთწლედის მოწინავე ადამიანებზე.

ბორის ჩხეიძე დაჯილდოებული იყო სამამული ნიშნის ორდენითა და მედლებით.

ჩინებული მწერლის, შესანიშნავი მოქალაქის და მამულიშვილის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ქართველი მწერლების გულში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

27 აპრილი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 16.30 — აბიტურიენტთათვის — ქიმია (ფ.), 17.05 — შევისწავლოთ ფრანგული ენა (ფ.), 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.45 — ჩვენი საკონსულტაციო დარბაზი, 18.15 — საქართველოს პოლიგრაფინკურ ინსტიტუტში შემსვლელთათვის, 19.00 — **სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. „დინამო“ (თბილისი)-„ზარია“ (ვოროშილოვგრადი) რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან.** (ფ.), შესვენება სეანსის დროს — კინოჟურნალი, 20.45 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ახალგაზრდა ტაიგა“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — კონცერტი (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ლექსი ამბალდი“ — ვარლამ ჟურულის დაბადების 70 წლისთავის გამო (ფ.),

მეორე პროგრამა

18.00 — მეცხრეკლასელთათვის — ფიზიკა (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — კინონარკვევი, 19.45 — მხატვრული ფილმი „სევდიანი სიცვარულის გაზაფხული“. (ფ.), 21.05 — დოკუმენტური ფილმი „არის